# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონის [illegible] რეზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

## „საქართველო“

1917 წ. წელიწადი მესამე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

**გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:**

ავ. აბესაძე,
ი. აბულაძე,
დ. არონიშიძე,
ა. ასათიანი,
ალ. ახმეტელი,
გ. ბარნოვი,
ეკ. გაბაშვილისა,
რ. გაბაშვილი,
განდეგილი,
გ. გვაზავა,
ხ. გორგაძე,
გ. გორდეზიანი,
გ. გუნია,
შალვა დადიანი,
ზ. ედილი,
ი. ვართაგავა,
გრ. ვეშაპელი,
ეკ. თაყაიშვილი,
ინ-ბანი,
პ. ინგოროყვა,
ჩ. კაპანაძე,
პოლ. კარბელაშვილი,
დ. გ. კარიჭაშვილი,
დ. კასრაძე,
დ. კახელი,
ს. კედია,
ნ. კურდღელაშვილი,
Legatus,
იას. ლორთქიფანიძე,
ნ. ლორთქიფანიძე,
ტ. მარგველაშვილი,
კ. მაყაშვილი,
ი. მაჭავარიანი,
მელანია,
შ. მღვიმელი,
ნიკო ნიკოლაძე,
გ. ჟორდანია,
გრ. რობაქიძე,
თედო სახოკია,
ტ. ტაბიძე,
ი. ფერაძე,
შ. ქარუმიძე,
ს. ქვარიანი,
გ. ქიქოძე,
ნ. ყიფიანისა,
ხვ. ყიფიანი,
გ. ყიფშიძე,
გ. შალიკაშვილი,
პროფ. ა. ცაგარელი,
აპ. წულაძე,
დ. ჭიაბრიშვილი,
ზ. ჭიჭინაძე,
მ. ჯანაშვილი,
ლ. ჯაფარიძე,
სამხედრო მიმ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ◆ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ◆ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შან შიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ხელის მოწერა

---

13 ქრისტეშობისთვეს, 1916 წ., ქ. თბილისში გარდაიცვალა ხაშურის (მიხაილოვის) სავაჟო გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფე

**ამბერკი (ვალოდია) ათანასეს ძე**

**ხოშტარია**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ გულმოკლულნი მშობლები **ათანასე და ვასასი ხოშტარიები**, დები: **ოლღა ათანასეს ასული** და მეუღლე მისი **იოსებ ჩიტაია**, **ელენე ათანასეს ასული** და მეუღლე მისი **გრიგოლ მამინაშვილი**, ბიძები: **გიორგი და ამბაკო ხოშტარიები ოჯახობით.**

გამოსვენება მიცვალებულისა გიორგი ხოშტარიას ბინიდან, ელისაბედის ქუჩა, № 155, პარასკევს, 16 ქრისტეშობისთვეს, დილის ცხრა საათზე, დიდუბის ეკკლესიაში, ხოლო დაკრძალვა წმ. ნინოს (კუკიის) სასაფლაოზე, ნაშუადღევის სამს საათზე. პანაშვიდი დღეს, საღამოს შვიდ საათზე, გიორგი ხოშტარიას ბინაზედვე.

(2—434—1)

დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში გამოვა

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული

**საფირონი**

კრებულში მონაწილეობას იღებენ:

ალ. ახმეტელი,
ბაბილინა,
განდეგილი,
შალვა დადიანი,
მოსე თოიძე,
თ. იანელი,
ინ-ბანი,
დ. კასრაძე,
გ. ლეონიძე,
კ. მაყაშვილი,
შიო მღვიმელი,
გ. მუმლაძე,
ნარკანი,
აკაკი პაპავა,
ტრ. რამიშვილი,
ს. ფაშალიშვილი,
ლეო ქიაჩელი,
გერონტი ქიქოძე,
სანდრო შანშიაშვილი,
ვალ. შალიკაშვილი,
ლელი ჯაფარიძე,
მ. ჭიაურელი,
და სხვ.

მისამართი: თბილისი. ნიკოლოზის ქ. № 7. სანდრო შანშიაშვილს.

პროვინციის აგენტებმა წინდაწინვე უნდა გვაცნობონ, თუ რამდენ ეგზემპლიარს გაიწერენ.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ლეონიძე.**

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

**„ეშმაკის მათრახ“-ზე**

ფასი მთელი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღო, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს.

(უ.)

**საბურთალოზე**

(საგაბაშვილო თხინვალის აგარაკი)

**სამოსახლოების მყიდველთა საყურადღებოთ**

ჩვენ დავსჭერით და გავჰყიდეთ ადგილები, ძლიერ იაფად საბურთალოზე, რადგანაც ამას გვაიძულებდა გარემოება... მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხვედრი ფული მაინც თავ-თავის ვადაზე არ შემოდის, ამისათვის ერთხელ და უკანასკნელად კიდევ ვაცხადებთ საყოველთაოთ, ვინც მთელი სამოსახლოს ღირებულობის ათი თვის ხვედრს შემოსატანს ფულს არ წარმოადგენს, ამ 1917 წლის პირველ იანვრამდის, მათ ადგილის დასაკვეთად შემოტანილი ბეიც აღარ დაუბრუნდებათ და დაკვეთილი სამოსახლო ადგილებიც აუცილებლად ჩამოერთმევათ და სხვა პირებზედ დაიყიდება.

ამასთანავე ვაცხადებთ, ვისაც სამოსახლოების შეძენა სურს საბურთალოზედ, 1917 წლის პირველ იანვრიდან მობრძანდენ იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა № 5 წიგნის მაღაზია „ცოდნა“ და შეიძინონ დატოვებული ადგილები.

**ივანე შალვის ძე ხვანიშვილი, იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე და ხევასტი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე.**

(10—418—6)

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

ხუთშაბათს, 15 ქრისტეშობისთვეს,

**სინემატოგრაფი**

**სიმფონიანი ორკესტრი**

სტუმრები საზოგადო წესით. ◆ ◆ დასაწყისი საღამოს 8½ ს.

(1—301—1)

შემთხვევით იაფად

იყიდება

**ველოსიპედი**

◆ ენფილდის სისტემისა ◆

გონჩარნი ქუჩა № 32.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

პროვიზორის [illegible]

ექიმი

**პ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი

**ფონ-ირტელი**

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს** ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმი

**გ. მ. მუხაძე**

მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვეტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

ექიმი

**მ. გ. გეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

**კალანდარიშვილი**

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

**მ. ი. ვარნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4 (თ.—202—)

## ჩვენი საქნარი

თავის კვალობაზე საქართველომაც იმდენივე სიცოცხლე შესწირა ამ ომს, რამდენიც სხვა რომელიმე დიდმა ერმა. ქუდზე კაცი ჩვენც გავისტუმრეთ ბრძოლის ველზე, თუმცა ეს ომი ჩვენი საქმე არ ყოფილა. ამაზედ მეტი არც რუსის ხალხს გაუწირავს, არც ინგლის-საფრანგეთისას და არც გერმანეთისას, თუმცა ეს ომი მათი პირდაპირი საქმეა. ეს რაოდენობის მხრივ. ღირსებისა მხრივა ქართველი მეომარი მაღლობზე დგას. მან უნაკლულოდ გამოსთქვა საუკუნოებით ნაწრთობი ხასიათი და მხედრული ნაცადობა წინაპრისა მტერმაც აღნიშნა ეს და მოყვარემაც. რუსის ჯარის უმაღლესმა სარდლობამ ქართველი მეომრის ეს ღვაწლი საქვეყნოდ მოიხსენია, ალბად როგორც ნიმუში და მაგალითი თავდადებისა და გულადობისა. სამხედრო ჯილდოებს არავისი მხარბეჭი ისე არ დაუმშვენებია, როგორც ქართველისა. დღეს იმაზედაც კი ზრუნავენ, ქართველს მეტი არ მოუვიდეს და ბევრი სისხლით ნაკურთხი სიმამაცე დაუფასებელი რჩება თურმე, უეკვივალენტოდ!

შინ დარჩენილი საქართველოც იმდენსავე გაჭირებას იტანს და განიცდის, რამდენსაც შინ დარჩენილი რუსეთი თუ სხვა ვინმე. ქართველი ერისგან საერთოდ შეწირული მსხვერპლი იმდენად დიდია, წმინდა და ძვირფასი, რამდენადაც ყოველი სხვა ერისაგან შეწირული მსხვერპლი მთელი თაობები უნდა იშვან და წარიხოცნენ, ვიდრე საქართველოს ორგანიზმი ტკივილებს მოიშუშებდეს. ხოლო ეს ამდენი დახოცილი სიცოცხლე, ამდენი დაკარგული ჯანი, ამდენი დანაკლისი, აღუდგენელ დანაკლისად დარჩება. მსხვერპლის გაღების ხანაში, ჩვენც სხვების სწორად გვიმოქმედნია. ჩვენი მამაცობა და თავ-დადება სხვათა საქებარი გამხდარა. დღეს თუ ხვალ მსხვერპლის ახალ-ახალ გაწირვას დასასრული მიეცემა და დადგება დრო ამ მსხვერპლის დაფასების, მისი განაღდებისა. თუ რომელიმე ერს თავის მსხვერპლის სახელით, შეეძლება მოითხოვოს თავისი სახელის, უფლების და მიწა-წყლის აღდგენა, ქართველი ერიც მათ რიგში უნდა მოჰყვეს.

გაბატონებული ერის სისხლიც იმდენად ფასობს, რამდენადაც ქვეშევრდომი ერის სისხლიც, არც მეტი, არც ნაკლები. ეს მშვენივრად შეიგნეს დიდმა სახელმწიფოებმა; ამას აღიარებს თითეული მათგანი საქვეყნოდ. არასოდეს, არც ერთ ომის დროს არ ყოფილა, რომ დიდ მებრძოლ სახელმწიფოებს გამოეცეთ ასეთი საზეიმო დეკლარაციები, პატარა ეროვნებათა უფლების აღდგენისთვის ვიბრძვითო. ამას თავის ფასი და მნიშვნელობა აქვს. ოთხთა კავშირი 29 ნოემბრის ნოტაში ხაზ-გასმით ამბობს, ჩვენი ზავის პირობების მიზანია ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომ ყოველი ერის თვითარსებობა და თავისუფალი განვითარება უზრუნველ ყოფილ იქმნესო. რუსეთიც იმას აცხადებს, რომ იგიც ეროვნული უფლების დაცვისათვის იბრძვის. და ამ თვის განცხადებას კონკრეტულად ჯერ მხოლოდ პოლონეთისთვის აყალიბებს. როგორც ვიცით იგი მოითხოვს გაერთიანებულ პოლონეთის აღდგენას. ინგლისიც ეროვნებათა გათელილი უფლების აღსადგენათ იბრძვის; კერძოდ ლლოიდ ჯორჯს მიაჩნია, რომ „პატარა ეროვნება ის ჭურჭელია, რომლითაც შემოქმედი კაცობრიობის ბაგეთ საუკეთესო სურნელოვან ღვინოს აწვდის, რომ ადამიანთა გული განამხიარულოს, და მათი ოცნებანი აღამაღლოს“. აბა ასეთი მშვენიერება როგორ არ უნდა დაიცვას კეთილშობილმა ინგლისმა. ერთი სიტყვით, პატარა ერის უფლება რომანტიული სიყვარულის საგნად გადაიქცა იმათ ხელშიაც, ვინც დღემდის მის უფლებას უპატივცემულოდ ეპყრობოდა. ყველა ამ კერძო დეკლარაციებს საერთო ჯამი შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გაუკეთა და ნოტის სახით თითეულ მებრძოლ სახელმწიფოს მოახსენა. პრეზიდენტი ზავის ჩამოგდების შუამავლად გამოდის, რადგანაც „თითეული მხარე საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას სურს ყოველი პატარა სახელმწიფოს და ყოველი სუსტი ეროვნების უფლება და უპირატესობა იმდენათ უზრუნველყოფილ იქმნეს აგრესიულ მოქმედებათაგან და უარყოფისაგან მომავალში, როგორც უფლება და უპირატესობა ყოველი დიდი და ძლევა-მოსილი სახელმწიფოსიო“. მოპირდაპირეთა მიზნის ასეთი ერთი-და-იგივეობა ბრძოლის გაგრძელებას ყოველგვარ აზრს უკარგავს ამერიკის პრეზიდენტის თვალში. ყველა ამ კურიოზებიდან თუ ლამაზ სიტყვებიდან ერთი მეტად საყურადღებო დასკვნა გამომდინარეობს.

სახელდობრ, დაინტერესებულ პატარა ერს შეუძლიან განაცხადოს და მოითხოვოს თვისი უფლების აღდგენა და პატივისცემა. ეს სრულიად ლეგალურ ხასიათს იღებს, ამის მომხრენი არიან თვით დიდნი სახელმწიფონი. მომავალ სადავო კონფერენციაზედ ეს საკითხი ერთ-ერთი უპირველესი საკითხი იქნება. თუ მსხვერპლის ხანაში მსხვერპლი და თავდადება სხვებზედ ნაკლებად არ გამოგვიჩენია, მსხვერპლის დაფასების და განაღდების ხანაში გვმართებს ერთი ასად მეტი ენერგიის და მეტი გამჭრიახობის გამოჩენა. ფარი და ხმალი თუ კარგად ვატრიალეთ, სიტყვა და კალამი კიდევ უფრო მჭრელი და მტკიცე უნდა ვიხმაროთ, თორემ უკვალოდ და უშედეგოთ ჩაივლის ყველაფერი! ქართველმა უნდა შეიგნოს თვისი უფლება და დააფასოს თვისი მსხვერპლი. საუკუნეების განმავლობაში ერთხელ დგება ასეთი იშვიათი დრო, განწმენდის ჟამი. ქართველი ერიც, სხვათა შორის ის პატარა ეროვნება, რომლის უფლების აღდგენისათვის დღეს იბრძვიან დიდნი სახელმწიფონი! და ქართველი ერი უნდა სათანადო მომზადებით წარსდგეს სხვა ერებ შორის და ღირსეულად დაიცვას თავისი უფლება და სხვებსაც ღირსეულადვე დააფასებინოს თავისი ამაგი და ღვაწლი საკაცობრიო კულტურის წინაშე. ეს არის ჩვენი მორიგი და უმთავრესი საქნარი.

**ძველი ქართველი,**

# სიტყვები ჰაერში

ამ ერთი თვის წინათ რუსეთის მიყრუებულ კუთხეებსაც კი მისწვდა სათათბიროს აღელვებული ხმა. ყოველ მხრიდან ისმოდა თავრიდის სასახლეში თქმულ სიტყვათა გამოძახილი. ხალხს მოთმინების ფიალა აღევსო და ხმა მაღლა დაუკრა ტაში თავის რწმუნებულთ და ჯერ ფარულად და შემდეგ ნებადართულად უხვად დაეწაფა მათს სიტყვებს, თითქოს ამ სიტყვებში ჰპოვებდა სასიცოცხლო ძალასაო.

და მოთმინების და ქიმულობის წამს იმავე ტრიბუნიდან, საიდანაც მილიუკოვი და შულგინი სჭექდნენ, გაისმა დამამშვიდებელი ხმა მინისტრთა ახალ თავმჯდომარისა. დაჰპირდა მრავალ ცვლილებათა შემოღებას, გამოსთქვა მრავალი კეთილი სურვილი, აღიარა სათათბიროსთან საერთო მუშაობის აუცილებლობა... და ასე ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

და ცეცხლის მფრქვეველი სათათბირო თუ აღტაცებით არა, არც დიდი პროტესტით შეხვედრია მის სიტყვებს. ყველა გრძნობდა, რომ პრემიერის განცხადებას დიდი ფასი არა ჰქონდა, მაგრამ მის სახეში რაოდენადმე მაინც ხედავდენ თვისთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ნელ-ნელა ცხრებოდნენ და ისინი, ვინც წითელ ტანსაცმელში გამოწყობას ეპირებოდნენ, დამჯდარ და საქმიან მუშაობას შეუდგნენ იმათთან, ვისაც სამშობლოს მტრებად აცხადებდნენ. მაგრამ მჭერმეტყველ პრემიერის სიტყვის შემდეგ, ერთი დღეც არ გასულიყო, რომ მან უკან დახევა იწყო. ამავე დღეს იქმნა აკრძალული პურიშკევიჩის სიტყვა, რადღესაც მან ცენზურისაგან დეპუტატთა სიტყვების განთავისუფლება სასურველად სცნო.

განვლო რამდენიმე დღემ და პროტოპოპოვის „უმიზეზო სურვილით“ ციმბირის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა იქმნა აკრძალული.

არც სახელმწიფო საბჭო დასტოვეს უყურადღებოთ და მარიის სასახლის ორატორებმა თავისი სიტყვები ვერც კი იცვნეს, ისე შეელამაზებინა ცენზორის კალამს.

დეპეშებმა კი მთავრობის ესეთის მოქმედების დამაგვირგვინებელი ცნობა მოგვიტანა. მოსკოვში ქალაქთა და ერობათა კავშირების ყრილობებზედ პოლიცია გამოცხადებულა და სამხედრო უფროსის ბრძანებით სხდომა აუკრძალავს. ამ ყრილობათა აკრძალვას ვრცელი ისტორია აქვს. არ გასჭრა არც ქალაქის თავის თხოვნამ, არც დეპუტატთა კატეგორიულმა მოთხოვნამ, არც სასურსათო თათბირის მიერ გამოთქმულმა სურვილმა, რომ მოსმენილ ყოფილიყო ადგილობრივ მოღვაწეთა ხმა და მათის გამოცდილებისათვის ანგარიში გაეწიათ. ფრონტისა და მის ზურგის ერთად-ერთ მომვლელად ეს კავშირნი ჰყავდათ, ესენი ეწეოდნენ მათის სურსათით უზრუნველ-ყოფის საქმეს, მათი რაზმები მრავლად არიან გაბნეული შინა და გარედ.

და თვით პრემიერის დეკლარაციაში იქმნა აღიარებული ამ კავშირთა მუშაობის დიდი სარგებლობა და ბ-ნი ტრეპოვი მათ ყოველ დახმარებას და და მათთან საერთო მუშაობას ჰპირდებოდა, მაგრამ ეს დაპირება ისევე დარჩა ჰაერში, როგორც მრავალი სხვა.

სამიწადმოქმედო სამინისტროს კანცელარია ახალ პროექტებით აღივსო და მინისტრი ყოველ დღე ხან ახალ ცირკულიარებს აცხობს, რომელთა დეტალური განხილვა და შემუშავება აუცილებლად საჭიროა, და ვინ უნდა განიხილოს ისინი, თუ არა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, რომელნიც, 2 ნახევარი წელიწადია, ამ საქმეს სათავეში უდგანან და დიდი გამოცდილებაცა აქვსთ. მაგრამ ისინი ამ საკითხის განხილვის ღირსად არა სცნეს, რადგან, როგორც ტრეპოვი ბრძანებს, სახელმწიფო სათათბირომ სავსებით „ამოსწურა“ ეს საკითხი. თუმცა მას არამც თუ არ „ამოუწურავს“, პირიქით, განაცხადა, რომ საქმის მოსაგვარებლად საქმესთან ახლო მდგომნი, საერობო და ქალაქთა კავშირების წარმომადგენლები უნდა იქმნენ მოწვეულნიო.

მაგრამ სათათბიროს გარდაწყვეტილებათ ფასი რომ ჰქონოდათ, აქ რევოლიუციის მიღების მეორე დღესვე რევიზია არ დაენიშნებოდა კავშირთა სასურსათო ორგანიზაციებს.

მთავრობა ისევ ძველ ნაცად გზას დაადგა და მიდის მაგრად, წარბშეუხრელად. სათათბიროში კი ისევ ისმის მჭექარე ხმა ხალხის ტრიბუნთა, ისევ გვესმის მათი დაჟინებითი მოთხოვნა ნდობით აღჭურვილ მთავრობისა, მართველობის სისტემის შეცვლისა, მაგრამ პასუხად გვესმის პიტირიმის დასაჩუქრება, პროტოპოპოვის მძიმე ავადმყოფობიდან განკურნება და პასუხსაგებ ადგილზედ ანდრონიკაშვილის მიწვევა. რაიც უაღრესად ამტკიცებს, რომ დღევანდელ მართველთა პოზიცია თვალსაჩინოთ გამაგრებულა.

ლ. ჯ—ძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მდინარე სერეტს ქ. ბაჩევის სამხრეთით, სამხრეთ კარპატების მწვერვალებიდან რამოდენიმე მდინარე ერთვის. მათს შორის უფრო საყურადღებო და ბრძოლის ველისათვის დიდ მნიშვნელოვანი არიან მდ. ტროტუში, რომელსაც ერთვის ოიტუზი, მდ. სუშიცა, მდ. რუმინკი, უფრო სამხრეთით მდ. კილნაუ. თვით სერეტი მოლდავეთის შუაგულში მოდის და ერთვის ქ. გალაცთან მდ. დუნაის, რუსეთის საზღვრებიდან ცოტა მოშორებით. ბრძოლის ხაზი დღევანდელ დღეს ზემოდ ნახსენებ მდინარების სათავიდან იწყება, გადმოდის ქალაქ რიმნიკ-სერეტის დასავლეთით. მიდის ფილიპეშტით და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ იხრება და უერთდება დუნაის. ხაზი სწორე არ არის. ცენტრში უფრო შემოზნექილია მოპირდაპირისაკენ. რუს-რუმინეთის მთავარი ძალები სწორედ ამ ცენტრში იმყოფება, სახელდობრ, ქ. რიმნიკ-სერატიდან მოყოლებული სოფ. ფილიპეშტამდის. იმისდამიხედვით, თუ რა განზრახვა აქვს რუს-რუმინელთა სამხედრო შტაბს, დაიწყებს მთავარ ოპერაციას გერმანელთა წინააღმდეგ, თუ ისევ უკან დახევას განაგრძობს და მთავარ პოზიციებზე გადავა, შეიძლება გავითვალისწინოთ თვით მოპირდაპირის გეგმა მოქმედებისა. ოფიციალ დეპეშები უკანასკნელ დღეში იმისთანა ცნობებს იძლევიან, თითქოს რუს-რუმინელთა შტაბი მართლაც ჰფიქრობდეს მოპირდაპირე გენერალურ ბრძოლაში ჩაითრიოს. ამას მოწმობს სასტიკი ბრძოლა, როგორც ქ. რიმნიკ-სერატის მიდამოებში, აგრეთვე ცენტრში. თავისთავად ცხადია, არც გერმანელნი დაახანებენ შესაფერისი ყურადღება მიაქციონ მოკავშირეთა განზრახვას და თავიანთ ძალებს მოთხოვნილების მიხედვით დაანაწილებენ. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბოლოდროს მოლდავეთის ასპარეზი უკვე თვალსაჩინოდ ახმაურდა. სწორედ იმ დროს, როდესაც მოპირდაპირე გაშმაგებულ იერიშს აწარმოებს რიმნიკის წინააღმდეგ, მდ. ტროტუშიდან, ოიტუზიდან და მდ. სუშიდანაც იწყებს იერიშებს. ბევრისათვის ეს იერიშები დემონსტრატიული ხასიათისაა. მათის ფიქრით, მოპირდაპირე მხოლოდ იმას ლამობს, რომ ოდნავ შეასუსტოს რიმნიკში მდგომი რუს-რუმინეთის ჯარი და ამ რიგად გაიადვილოს ამ ფრიად საყურადღებო ძალის წინააღმდეგ მოქმედება. ჩვენ გვგონია, ასეთი გადაწყვეტილის აზრის გამოტანა ნაადრევია. მდ. ოიტუზს, ტროტუშს, სუშიცას ძალიან ადვილად შეიძლება გადამწყვეტი როლი ერგოთ დღევანდელ ოპერაციაში. აქედან წამოსული მოპირდაპირე გადასწყვეტს არა მარტო რიმნიკ-სერატის ბედს, ან და ფოქშერისას, არამედ მთელ რუს-რუმინელთა ჯარს აიძულებს დასტოვოს რუმინეთის მიწა-წყალი და გადვიდეს რუსეთის გუბერნიებში, რადგან, უეჭველია, გერმანელნი აქედან მდ. სერეტის გადალახვასაც განიზრახავენ.

საზოგადოთ, ოპერაცია რუმინეთში ახალ სახეს იღებს. დღეის შემდეგ ეს ბრძოლა, შეიძლება, დასაწყისი იყოს იმ დიდ გენერალურ ოპერაციის, რომელიც ჩვენის აზრით რუსეთის ასპარეზზე უნდა მოხდეს. როგორც ვიცით, ბუქარესტის აღების შემდეგ თითქმის ყველამ თვალები გენ. სარაილის ჯარს მიაპყრო. დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ გერმანელებს თავიანთი ძალები სალონიკის ასპარეზზე გადაჰყავთ და განზრახვა აქვსთ მოკავშირეთა ჯარები საბერძნეთიდან გააძევონო. მაშინათვე ჩვენ არ დავეთანხმეთ ამ აზრს. პირიქით, აშკარათ აღვიარეთ, რომ გერმანელებისათვის გენ. სარაილის წასვლა ბალკანეთიდან ხელსაყრელი არ არის და მაშასადამე, არც ოპერაციას დაიწყებენ მის წინააღმდეგ. ეს ასეც მოხდა. მოპირდაპირემ გენ. სარაილს გვერდი აუხვია და ბრძოლა ისევე რუმინეთში გააგრძელა. ყოვლად შეუძლებელია, რუმინეთის დღევანდელი ოპერაცია არ გაფართოვდეს და რუსეთის ასპარეზზე საერთო მოქმედება არ დაიწყოს.

გუშინდელ ოფიციალ დეპეშის გადმოცემით რუს-რუმინელთა ჯარი ქ. რიმნიკის ჩრდილოეთით იძულებული გამხდარა უკან დაიხია. მოპირდაპირეს აუღია აგრეთვე სამხრეთით სოფ. ფილიპეშტი. ეს ცნობა ადასტურებს, რომ მოპირდაპირე არაფერსა ზოგავს, რომ ცენტრში მომქმედ რუს-რუმინელთა ჯარს რკინის სალტა შემოავლოს. ეს მანევრი მაინც ერთი მხარეა ოპერაციისა. მოპირდაპირე აუცილებლივ უფრო ჩრდილოეთით დაიწყებს შეტევას და რუს-რუმინელთა ჯარების შემოვლას ეცდება.

X.

## ომის დეპეშები

14 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მოპირდაპირე ზარბაზნებს უშენდა სოფ. პეპიაკის, მანაუვის მიდამოებს და გუკალოვეცის ტყეს. ბარზეჟანის სამხრეთით მტერი ზარბაზნებს უშენს ჩვენ მიერ აღებულ ადგილებს სოფ. ლიპიცა-დოლნაიას და სვისტელნიკის აღმოსავლეთ მაღლობებში. მოლდავიის საზღვარზე, მდ. კასინიას ველში, რუმინეთის ჯარმა მარჯვე შეტევით დაიბრუნა გუშინ დაკარგული მაღლობი.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა

რუმინეთის ასპარეზი. მდ. სუშიცას სათავეში მოპირდაპირეს ცხარე იერიშები მოჰქონდა, დრაგოსლავლის მიდამოებში, მაგრამ რუმინელებმა სამაგიერო იერიშებით მოიგერიეს და 3 ტყვიისმფრქვეველიც ხელთ იგდეს. მდ. რუმინკას სათავეში მოპირდაპირემ უკან დაახევინა ჩვენს მოწინავე რაზმებს, რომლებიც მთავარ ასპარეზზე გადავიდნენ. მდ. კილნაუს მიდამოებში, რიმნიკ-სერატის დასავლეთით, მტრის ყველა იერიშები სრულიათ მოვიგერიეთ. მთელი დღის განმავლობაში მოპირდაპირეს დიდძალი ჯარით იერიშები მოჰქონდა ფილიპეშტი-ლაშნოტიანკის ხაზზე, მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა იყო სოფ. ფილიპეშტთან, რომელიც მოპირდაპირის ზარბაზნებით გადაიბუგა, რის გამოც ეს სოფელი მივატოვეთ.

დობრუჯში მოდარაჯე რაზმები ერთმანეთს უშენენ.

13 ქრისტეშობისთვე

**ლონდონი.** საადმირალო იტყობინება: ჩრდილოეთის ზღვაში 8 ქრისტეშობისთვეს 2 ნაღმოსანი გამნადგურებელი ნისლის გამო ერთმანეთს დაეჯახა და დაიღუპა. 6 აფიცერი და 15 მეზღვაური დაიხრჩო.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. სომას მიდამოებში მტრის 3 საფრენი ჩამოვაგდეთ, ერთი სპენკურთან დაეცა, მეორე ღმენკურთან, მესამე ლაანკურთან.

მონასტირის სამხრეთ მიდამოებში ცხარე ბრძოლა იყო ზარბაზნებით.

**რომი.** საზღვაო სამინისტრო იტყობინება: 10 ქრისტეშობისთვეს ღამე მტრის ესკადრამ ოტრანის სრუტეში იერიში მიიტანა მოდარაჯე გემზე. ეს მალე შეამჩნია ფრანგების კონტრ-ნაღმოსანმა. ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც იტალიის გემებს მოკავშირეთა გემებიც მიეშველნენ, მტრის ესკადრა ღამის წყვდიადში მიეფარა. მოპირდაპირის ზარალი არ ვიცით, ფრანგების კონტრ-ნაღმოსანი და მოდარაჯე გემი მცირეოდნად დაზიანდა.

**პარიზი.** ავსტრიის გაზეთები იტყობინებიან: სიკვდილით დასჯა კრამარჟს 15 წლის კატორღით შეუცვალეს, რაბინს—10 წლის კატორღით, ზანაზალს—5 წლით.

**სოლუნი.** სოლუნში მომქმედ იტალიის კორპუსის მთავარსარდალი გენერ. პეტიტი, მონასტირის მიდამოებში შრაპნელის ნატეხით დაიჭრა, იმავე დროს დაიჭრა იტალიის მთავარშტაბის აფიცერიც.

**სოლუნი.** (დაგვიანებულია) ბულგარელები განაგრძობენ ზარბაზნების დაშენას.

**რომი.** შობის დღეს პაპის უხუცესმა კარდინალმა ვანუტელიმ პაპს თანაგრძნობა გამოუცხადა კოლეგიის სახელით ერთაშორის მშვიდობიანობის დამყარების სურვილისათვის. კარდინალმა ასე დაასრულა სიტყვა: მთელი კაცობრიობა მშვიდობიანობის დამყარებას ესწრაფვის, ეს კი ეკლესიის დაუხმარებლად განუხორციელებელიაო. პაპმა კარდინალთა კოლეგია დალოცა და წარმოსთქვა: დეე აღსრულდეს ანგელოსის საგალობელი—„ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

**სტოკჰოლმი** ბერლინიდან ოფიც. იტყობინებიან: უზას ველის ჩრდილოეთით რუსებმა შემოგვიტიეს და იერიშის მერე მადიარას მაღლობებზე გამაგრდნენო.

**იასი.** დიდი მთავრის თევდორეს ასული ვიქტორია, რუმინეთის დედოფლის ღვიძლი და, იასში მოვიდა. სადგურზე შეეგებნენ: მეფე, დედოფალი, მინისტრები და რუსეთის დესპანი მოსოლოვი. სადგურიდან მეფის სასახლეში გაემართნენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ინგლისი

**ეროვნული დარაზმვა**

გერმანელების მაგალითს ინგლისმაც მიჰბაძა და მთელი ერის დარაზმვას აპირებს იგი. ინგლისს გადაწყვეტილი აქვს, ომი სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს. ამის მისაღწევად მთელი ინგლისის მამაკაცობას 16—55 წლამდე თავს მოუყრიან. მთავრობა მათ გაანაწილებს საჭიროებისდაგვარად სხვა და სხვა დარგის სამრეწველო-სახელოსნოებში. ამ რიგად ინგლისიც აპირებს სავალდებულო შრომის ბეგრის შემოღებას. რამდენად შესძლებს ამ მიზნის განხორციელებას, მომავლის საკითხია. ეხლა კი გადაწყვეტილი აქვს დაამუქმოს ის ქარხნები, რომლებიც ომის საჭიროების საგნებს ან აუცილებელ საჭირო საგნებს არ ამზადებენ. ამ ქარხანა-სამრეწველოებიდან განთავისუფლებულ ხალხს ომის საქმეში გამოიყენებენ. მთელი სოფლის მეურნეობა მთავრობის კონტროლს დაემორჩილება. მიწის მხვნელთ დაევალებათ განსაზღვრულ ადგილების მოხვნა და შესაფერ ხორბლეულის თესვა. მოსავალი მთავრობის მიერ განსაზღვრულ უმაღლეს ფასებში გაიყიდება. აიკრძალება მაგარ სასმელების დამზადება. შემცირდება სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა და სამგზავრო ფასიც ერთი ორად გადიდდება.

ხელფასს მთელს ინგლისში საპროფესიო კავშირები განიხილავენ. გერმანეთის სანაპიროთა გარემოცვას უაღრესობამდე გააძლიერებენ. ამას გარდა, განზრახულია გაანთავისუფლონ ყველა ტუსაღები და საყოველთაო ამნისტია გამოაცხადონ ირლანდიის ამბოხებაში მონაწილეთათვის.

**ახალი სესხი**

„მორნინგ პოსტ“-ი გადმოგვცემს, რომ ინგლისი ახალ სესხს იღებს ამერიკაში. სესხის რაოდენობა 50 მილიონი გირვანქა სტერლინგს უდრის (გირ. სტერლ. ეხლა 15 მანათია.)

**ლლოიდ ჯორჯი**

ლლოიდ ჯორჯის სიტყვამ დიდი აღტაცება გამოიწვია პარლამენტის და საზოგადოების ფართე წრეებში.

„დალ. ნევ.“ აღნიშნავს: ლლოიდ-ჯორჯმა საბოლოოდ არ მიხურა კარები ზავის მოსალაპარაკებლადაო.

### გერმანეთი.

**ახალი სამზადისი**

კონსერვატორების გაზეთი „დოიჩ ტაგეცაიტუნგ“-ი ლლოიდ ჯორჯის განცხადების გამო მოუწოდებს გერმანეთს, დაუნდობლად აწარმოვონ წყალქვეშა ნავებით ბრძოლა, რომლის მეოხებითაც მთლად დაინგრევა ინგლისის სამოქმედო გეგმები.

**ვილჰელმი დასავლეთის ასპარეზზე**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: იმპერატორი ვილჰელმი დასავლეთის ასპარეზზე დიდხანს გაჩერდა. ეს იმისი მომასწავებელი უნდა იყოს, რომ გერმანელები ამ ასპარეზზე დიდძალ ჯარს უყრიან თავს, რასაც მალე მოჰყვება მოულოდნელი იერიშებიო.

**ჯარის გადაყვანა**

სამხედრო უწყებას სრული უფლება მიენიჭა მატარებელთა მიმოსვლა თავისი მოსაზრებით შესცვალოს. უკანასკნელ ხანს ძალიან შეამცირეს სამგზავრო მატარებელთა რიცხვი და მიმოსვლის წესი და დროც შესცვალეს.

**სომა და მაასი**

ბელგიიდან და ჰოლანდიიდან მიღებული ცნობებით, გერმანელებს დიდძალი ჯარისათვის მოუყრიათ თავი სომასა და მაასის მიდამოებში.

**ქვეშევრდომობიდან ამორიცხვა**

გერმანეთის კანცლერმა მეორე სია გამოაქვეყნა ელზას-ლორენის იმ ქვეშევრდომებისა, რომელნიც საფრანგეთში გახიზნულან. ესენი გერმანეთის ქვეშევრდომობიდან სამუდამოთ გამორიცხულნი არიან და მათი მამულ-დედული თუ სხვა ქონება მთავრობის ხელში გადადის. მათი რაოდენობა დღესდღეობით 3880 აღწევს.

## უკანასკნელი ცნობები

**სამხედრო, საშინაო და სახალხო განათლების მინისტრთა შეთანხმებით სრულებით გაანთავისუფლეს სამხედრო ბეგრისაგან ის სათადარიგო და ლაშქარში ჩარიცხული სახალხო მასწავლებლები, რომელთაც ავადმყოფობის გამო ჯარში გამოცხადების ვადა ჰქონდათ მიცემული.**

—

**მთავრობის განკარგულებით 1917 წლის 1 იანვრიდან აკრძალულია: 1) საზღვარ გარედ საბანდეროლო ან სხვა სახით გზავნა და მიღება ნაბეჭდ ნაწარმოებთა, როგორც რუსეთის ისე საზღვარგარეთის გაზეთებისა. 2) ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ეკრძალებათ თავის გამოცემათა გზავნა ბანდეროლით ან სხვა სახით შვეციასა, ნორვეგიასა, ნიდერლანდიასა, რუმინიასა, იტალიასა და დანიაში. რუსული გამოცემანი ამ ქვეყნებისათვის შეიძლება იგზავნებოდეს მხოლოდ ამ ქვეყნების საფოსტო დაწესებულებათა საშუალებით.**

—

**დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, რომ გერმანეთი თანახმა იქნება ზავი ჩამოაგდოს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ხელს აიღებს პოლონეთსა, ლიტვასა და პრიბალტიის მხრის ნაწილზედაო.**

—

**„ნოვოე ვრემიას“ ატყობინებენ: გერმანეთის აგენტებმა, შეერთებულ შტატებში ხმები გაავრცელეს, რომ თუ მოკავშირენი გერმანეთის წინადადებას არ შეიწყნარებენ, იგი ისევ დაუზოგავად განაგრძობს წყალ-ქვეშა ომს და ყურადღებას არ მიაქცევს ნეიტრალ სახელმწიფოთა ინტერესებსაო. ამიტომ უილსონმა საჭიროდ სცნო, რომ მშვიდობიანობის მოწოდებით ამერიკისაგან პასუხისმგებლობა მოეხსნა. განსაკუთრებით დააჩქარა მისთვის, რომ ზავის მომწყობი როლი ეკისრა ამერიკას და არა ისპანეთს, რომელსაც კონგრესის პერსპექტივა ეღიმოდა.**

—

**სასურსათო თათბირში შინგარევმა და პაპაჯანოვმა მოითხოვეს კავკასია უზრუნველჰყონ სურსათისა და სათესლის მხრივ.**

—

**„რ. ინ.“-ის ცნობებით, ლვოვისა, გალიჩისა და კარპატების მიდამოებში მოპირდაპირეს მედგარი იერიშები მოუხშირებია. მდ. ბოლტუროვკაზე მტერი მედგარს სროლას აწარმოებს ზარბაზნებით და იერიშებით მოდის.**

—

**რიმნიკის ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირე დიდძალი ჯარით უტევს რუს-რუმინელთა ჯარს, რომელიც მაგრად უხვდება.**

—

**უილსონის წინადადების უარყოფის გამო შინგარევს უთქვამს: ამ უარის გამო ამერიკა ხელს არ აიღებს შეკვეთილ საქმეებზე, მაგრამ ამ უარს თავის სახარგებლოთ კი გამოიყენებსო.**

## ახალი ამბავი

### სასახლეში

◆ **მეფის ნაცვალს** სადარბაზოდ წარუდგა მათ უმაღლესობის საბჭოს წევრი ფ. ა. ლიზოგუბი, საერობო კანონპროექტის გამხილავ კომისიის თავმჯდომარე. დარბაზობის შემდეგ ბ. ლიზოგუბი მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

### მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **მეფის ნაცვლის სახლში** 16 ამა თვეს საოლქო თათბირია დანიშნული, რომელმაც საალმშენებლო საქმეებზე საერობო თანხის რაოდენობა უნდა გამოარკვიოს მომავალი 1917 წლისათვის. ფული გადაიდება მხოლოდ ისეთი საქმეებისათვის, რომლის გაუკეთებლობა შეუძლებელია.

### ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ქალაქის სასურსათო კომისიაში**, რომელიც არჩეულ უნდა იქმნას ამ დღეებში და რომელიც ქალაქის გამგეობას უნდა დაეხმაროს სურსათ-სანოვაგის შეძენა-განაწილებაში, კანდიდატებად ასახელებენ: ხმ. ნ. კოვალენსკის, ი. დოლუხანოვს, დ. ტერ-სტეფანოვს, ა. ტერტეროვს, გ. კეილს, მ. მარტიროსიანცს, ა. ათაბეგოვს და ი. ს. ციციშვილს.

◆ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა აბაზის ნაცვლად სამი აბაზი გადაახდევინოს მთხოვნელთ რაიმე ქაღალდის ასლის გაცემაში. გამგეობა ასეთ განკარგულებას ასაბუთებს ცხოვრების გაძვირებით.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **ადგილობრივი ენები.** საბჭოს დავალებით ქალაქის გამგეობამ მიმართა კავკასიის ყველა ქალაქის თვითმართველობათ და სთხოვა მხარი დაუჭირონ კავკასიის საშუალო სასწავლებლებში ადგილობრივის ენების სავალდებულო სწავლების შემოღების კითხვას.

◆ **ვალ. გუნიას საიუბილეო კომიტეტი** მოწვეულ იქმნება ქართ. დრამ. საზოგად. წლიურ კრების დასრულების შემდეგ.

◆ **სამღვდელოების კრება.** ქართლ-კახეთის სამღვდელოების გუშინდელ კრებაზე დადგენილ იქმნა: საგანგებო კომიტეტი ექსარხოსის მეთაურობით წარსდგეს სადარბაზოდ მეფის ნაცვალთან და სალამი უძღვნას სამღვდელოების მხრივ. კომიტეტში არჩეულ იქმნენ კრების თავჯდომარე დეკანოზი ი. ოქროპირიძე და დეპუტატები მ. კელობოვი, პ. კარბელაშვილი, [illegible] კანდელაკი, ივ. შიუკაშვილი და სილ. ხუნდაძე. მეფუტკრეობის გასავრცელებლად ეპარქიაში კრებამ აირჩია ცალკე კომიტეტი. თავჯდომარედ არჩეულ იქმნა მეფუტკრე მღ. ალ. ჯალიაშვილი, წევრებათ სანთლის ქარხნის ზედამხედველი, გამგე და მმ. მახათაძე და სვიმონიშვილი. სასულიერო სემინარიის გამგეობაში წევრებად საქართველოს სამღვდელოებიდან არჩეულ იქმნენ: მ. ვ. კარბელაშვილი, გ. გამრეკელი და მიხაილოვსკი, ხოლო კანდიდატებად დეკ. ნ. მაჭარაშვილი და ქრის. თხინვალელი. ერთ ურთ დამხმარე კასის წევრებად კრებამ ჩარიცხა აგრეთვე შტატ გარეშე მყოფი მღვდლები, რომელთაც ერთნაირი გადასახადი უნდა გაიღონ საწევროთ, როგორც შტატის მღვდლებმა. მეურნეობის და მეოჯახეობის წარმოების საკითხი სასულიერო სასწავლებლებში გადიდო, ვიდრე საქალებო საეპარქ. სასწავლებლის რევიზიას არ დაამთავრებს საგანგებო კომისია.

◆ **ცნობა მივიღეთ**, რომ ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შუამდგომლობა გერმანელთა სალიკვიდაციო მამულების შესყიდვის შესახებ, სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს არ შეუწყნარებია. აგრეთვე გვატყობინებენ, რომ ამის შემდეგ ქართველ თავად-აზნაურობას შესაფერი ღონე უღონია ამ მამულების დასანარჩუნებლათ და, ამბობენ, შანსებიცა აქვს ამისთვისაო.

◆ **ტატიანას კომიტეტი** წერილობით აუწყებს ყველა იმ დაწესებულებებს, რომელნიც კომიტეტისაგან დახმარებას ღებულობენ, რომ მისმა უმაღლესობამ ტატიანა ნიკოლოზის ასულმა სურვილი გამოსთქვა, რომ მის სახელწოდების დღეს, 12 იანვარს, მისალოც დეპეშების გამოგზავნაზე თავი არ შეიწუხონ, რადგან საჭიროება ფულის დახარჯვისა უამისოდაც დიდია და ამასთანავე ტელეგრაფი მრავალი საქმეებითაა დატვირთული. მაგრამ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია, რომ აღნიშნულ დღეს დაწესებულებებმა სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადონ და მისი უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის მოღვაწეობა მოკლედ განუმარტონ დამსწრეთ.

◆ **მთაგარაკეთა საზოგადოების** წევრთა მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს თათბირი ჰქონდა 13 ამა თვეს და კრების პროგრამა შეიმუშავა. პროგრამაში მრავალი საყურადღებო მუხლია შეტანილი, მაგალითად, სააგარაკო ადგილების გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, მადნეული წყლები, რკინის გზის რიგს გარეშე ბილეთების მიცემა წევრებისათვის და სხ.

◆ **ფულის საჭიროება.** ქალაქთა კავშირის ეკატერინოდარის საქალაქო კომიტეტი 100 ათას მანეთსა სთხოვს კავშირის განყოფილების მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მისაცემად.

◆ **ახალი წიგნები** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ ამ ჟამად ორი წიგნი იბეჭდება: „გადამდები სნეულებანი“, ექიმის გ. წინამძღვრიშვილისა და ეკ. გაბაშვილის მოთხრობათა მესამე ნაწილი.

◆ **რუსული გაზეთი.** თბ. გუბერნატორმა ნება დართო ვ. ვ. ვოლიანსკის ყოველდღიური გაზეთი „კავკაზსკაია ზარია“ გამოსცეს რუსულ ენაზე.

◆ **გ. ლეონიძის** რედაქტორ-გამომცემლობით ქრისტეშობისთვის ბოლო რიცხვებში გამოვა სამხატვრო-სალიტერატურო კრებული „ხაფირონი რო“ მელშიაც უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან: ალექსანდრე აბმეტელი, ბაბილინა, განდეგილი, მოსე თოიძე, თ. იანელი, ინ-ბანი, შალვა დადიანი, სიდამონ ერისთავი, დ. კასრაძე, კ. მაყაშვილი, შიო მღვიმელი, გ. მუმლაძე, ნარ-კანი, აკაკი პაპავა, ტრ. რამიშვილი, ს. ფაშალიშვილი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, ვალ. შალიკაშვილი, ლელი ჯაფარიძე, მ. ჭიაურელი და სხ.

### ქუთაისი.

5 ქრისტეშობისთვეს, თავის სამშობლო ს. გუბში მისმავე ნათესავებმა მოჰკლეს, ქუთაისის ქალთა მთავრობის საქალებო სასწავლებლის სამღთო სჯულის მასწავლებელი დეკანოზი მელიტონ ცაგარეიშვილი. მკვლელობა ადგილის შესახებ დავას გამოუწვევია. მიცვალებული უკვე ჩამოასვენეს ქუთაისში. მისმა სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქუთათურ გაზეთებში.

— ქუთაისის ვაჭარს დავით მიხეილის ძე მოშიაშვილს, აზრად აქვს გახსნას ქალაქში რამდენიმე ფურნე, რომელთაც ერქმევათ „ებრაელთა კოოპერატიული ფურნე“. ამისათვის საკმარისი ფქვილი უკვე შეუკვეთია სხვა და სხვა მეწისქვილესთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 21 ქრისტეშობისთვეს, ქუთაისის საზოგადო საკრებულოში ჩვეულებრივათ გაიმართება საქველმოქმედო საღამო, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

— ამ დღეებში, ქუთაისში მოელიან რამდენსამე ვაგონ შაქარს.

**ტრაპიზონი.**

აქაურმა ქართველობამ ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასის წლის თავი იდღესასწაულა. ქართულ ენაზე პანაშვიდი გადაიხადეს მგოსნის სულის მოსახსენებლად მღვდლის ი. დემიანოვის მიერ ბერძენთა საკათედრო ტაძარში. გალობდა ქართული გუნდი, უმთავრესად სტუდენტებისაგან შემდგარი. ბოლოს ოცდაექვსი თუმანი შეგროვდა ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად.

## ახალი კავშირი

უკვე სისტემატიური ხასიათი მიიღო იმ მოძრაობამ, რომელიც ამ ბოლო წლებში ჩვენში ეკონომიური ორგანიზაციის სახით გამოცხადდა. განსაკუთრებული ენერგია ამ მოძრაობას დღევანდელ იმის ხანაში დაეტყო. კახეთის წვრილი კრედიტის ამხანაგობათა კავშირი სწორედ ამ ომის წიაღში იშვა. კახეთს ქართლმაც წაჰბაძა. სათანადო წინასწარი მუშაობის შემდეგ ქართლის კოოპერატივების მოამაგენი და ხელმძღვანელნი დღეს, 15 ქრისტეშობისთვეს, ოფიციალ კრებას მართავენ ქ. გორში, რომ დააარსონ ქართლის წვრილი კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა კავშირი. გვაკლია სკოლა და გაწვრთნილობა კოლექტიურ საქმიანობის მოსაწყობად და გასაძღოლად. ძალიან ხშირად პირად ინტერესს და გროშად რომ არა ღირს ისეთ თავმოყვარეობას ვანაცვალებთ საქვეყნო საქმის ინტერესს. ის, რაც კახეთის კავშირის გარშემო მოხდა, ამის სამწუხარო მაგალითს წარმოადგენს.

სრული იმედი გვაქვს, რომ ქართლის კოოპერატივების მეგობართ შორის ადგილი არ ექნება ამგვარ მოვლენას და რომ ისინი სათანადო სიფრთხილით და წინდახედულობით ჩაუყრიან საძირკველს ამ ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად საჭირო ეკონომიურ ორგანიზაციას. ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ქართლის კოოპერატივთა მომავალ კავშირს.

**მეგობარი.**

## წერა-კითხვის გამავრც. საზ. წლიური კრება

18 ქრისტეშობისთვე.

კრება დაიწყო გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით საღამოს 8 საათზე.

**თავმჯდომარემ** განაცხადა, რომ წარსულ კრებაზე 32 კაცმა ილაპარაკა, მაგრამ გარკვეული გადაწყვეტილება არ გამოგვიტანიაო. ამიტომ ვსთხოვ წინანდელ ორატორებს წერილობით წარუდგინონ მას დასაბუთებული ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასვლისაო.

**არ. მამულაიშვილი** რჩევას იძლევა მცოდნე კაცისაგან არჩეულ იქნას საგანგებო კომისია სასკოლო საქმის გაუმჯობესობის საკითხის გამოსარკვევად და გამგეობისათვის წარსადგენად სახელმძღვანელოდ.

**პავ. საყვარელიძე** ურჩევს კრებას დაადგინოს, რომ 1) სკოლების გამრავლებას მომეტებული ყურადღება მიექცეს განაპირა ადგილებში, სადაც ქართულ ენას და საერთოდ ქართულ კულტურას დიდი განსაცდელი მოელის, 2) გაცხოველდეს მუშაობა კრების დადგენილებათა განსახორციელებლად და 3) ფართე ადგილი დაეთმოს პროფესიონალ განათლების გავრცელებას, რომელსაც ხალხი მეტის ყურადღებით ეკიდება, ვინემ წერა-კითხვის სკოლასაო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, სასკოლო ანგარიში დამტკიცეს. პავ. საყვარელიძის ზემო აღნიშნულ განმარტებით.

კრება შეუდგა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ანგარიშის განხილვას.

**ბ-ნი არონიშიძე** შეეხო სამკითხველო-ბიბლიოთეკების ნაკლულევანებას, განსაკუთრებით თბილისში, და აღნიშნა უვარგისობა ბინებისა ავლაბრისა, დიდუბისა, კუკიისა და ნაძალადევის სამკითხველოებისა აგრეთვე ორატორმა კრების ყურადღება მიაქცია წიგნების სიცოტავეს. ქართული წიგნები სამკითხველოებში ნაკლებია, ვინემ რუსულიო. ორატორი ურჩევს გამგეობას, რომ გააერთიანოს თბილისის ბიბლიოთეკის საქმეები და ყველგან ერთნაირი წესრიგი იყვეს დაცული, სადაც ჩვენი კულტურული ნიმუშები გვაქვს, ყველგან ისე კარგად უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ჩვენი თავი ღირსეულად ვაჩვენოთ ყველასო.

**რ. გაბაშვილი** საქმის მდგომარეობის საერთოდ დახასიათების შემდეგ ძირითად ცვლილებას თხოულობს და ამტკიცებს, რომ 1) გამგეობის 2—3 წევრი სავსებით თავისუფალი უნდა იყვეს გარეშე საქმეებისაგან და მთელი თავისი ძალ-ღონე წერა-კითხვის საზოგადოებას მოახმაროს. იმათ შესაფერისი შრომის ფასი უნდა მივსცეთ. 2) საზოგადოება და გამგეობა, როგორც ორატორი ფიქრობს, დატვირთულია საქმეებით და ეს გარემოებაც ხელს უშლის საქმის გაძღოლას. ამიტომ საზოგადოებას უნდა ჩამოშორდეს ისეთი საქმეები, რომელთაც პირდაპირი ორგანიული დამოკიდებულება არ აქვს წერა-კითხვის გავრცელების საქმესთან. მაგალითად, უნდა ჩამოშორდეს მუზეუმი და გადაეცეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას და აგრეთვე უნდა ჩამოშორდეს საგურამოს ილიასეული მამული და სავსებით გადაეცეს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ გარდა იმისა, რომ გამგეობას შრომა შეუმსუბუქდება, ზედმეტი ხარჯიდანაც გაინთავისუფლებს თავს.

**გ. გორდეზიანს** სანუგეშოდ არ მიაჩნია საქმის მდგომარეობა, განსაკუთრებით ქონებრივის მხრივ. მაგრამ რაც ფული იყო გადადებული, მიუხედავად დიდი საჭიროებისა, ისიც არ დახარჯულა მთლად. საბიბლიოთეკო სექციას მუშაობის უნარი ვერ გამოუჩენია. ზოგიერთ სამკითხველოში არც კი შეუხედნიათ სექციის წევრებს და, რაღა თქმა უნდა, იქაურ ავ-კარგიანობაზე ჭეშმარიტი წარმოდგენა არ ექნებათ. ორატორი აღნიშნავს ილია ჭავჭავაძისეულ სახლის მოუვლელობას და აცხადებს, რომ შემოსავლის გასადიდებლად მაინც უნდა შეეკეთებინა გამგეობას ეს სახლი, თუ გინდ სესხის აღებაც საჭირო ყოფილიყოსო. აგრეთვე ბ-ნი გორდეზიანი საჭიროდ სთვლის შემოსავლის გასაძლიერებლად წიგნებით ვაჭრობა მოეწყოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოებთან, სადაც კი ეს მოხერხდება. ორატორი იმის მომხრე არის, რომ მუზეუმი და საგურამოს მამული მოიშოროს საზოგადოებამ თავიდან; რაც შეეხება გამგეობის აღმასრულებელ ორგანოს შექმნას, ამაში ეთანხმება იგი ბ-ნ რ. გაბაშვილს.

(შემდეგი იქნება)

## საეპარქიო კრების საყურადღებოდ

„საქართველოს“ გუშინდელ ნომერში მოთავსებულია ვინმე ხოსროიანის წერილი „საეპარქიო სასწავლებლის საქმეებისა გამო“. ბ-ნ ხოსროიანის ცნობით, საეპარქიო სასწავლებელში „ქართული ენა, ქართული გალობა სავალდებულოა“. ქართული გალობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართული ენის თაობაზე ცნობა კი, ჩემის აზრით, შესამოწმებელია. რამდენადაც მახსოვს, ქართული ენა სავალდებულო საგნად ითვლებოდა მხოლოდ განსვენებულ ნიკონ ექსარხოსამდე. შემდეგ კი, მართალია, ქართულ ენის პროგრამა გააფართოვეს, მაგრამ, ნიკონ ექსარხოსის წყალობით, სინოდმა სავალდებულო საგნის უფლება ჩამოაცალა. უმორჩილესად ვსთხოვთ საეპარქიო სასწავლებლის ყოფილს ინსპექტორს დეკანოზს კორნელი კეკელიძეს, როგორც ამ საქმის კარგა მცოდნეს, ნამდვილი ცნობა მოგვაწოდოს, თუ რა მდგომარეობაშია ქართული ენა უფლებრივის მხრით საეპარქიო სასწავლებელში. თუ ქართული ენა აქნობამდე, ცოტად თუ ბევრად, კარგად იყო დაყენებული, ეს მხოლოდ სასწავლებლის სათავეში მდგომთ ქართველ მესვეურთა წყალობით ხდებოდა და ჯერ-ჯერობით ხდება კიდეც, მაგრამ შემდეგ კი, შესაძლოა, ოფიციალურად უფლება აყრილს ენას ცუდი საქმე დაემართოს. ამიტომ, თუ ჩემი ცნობა, შემოწმების შემდეგ, მართალი აღმოჩნდება, საჭიროა, საეპარქიო კრებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ეხლანდელ ექსარხოსსა სთხოვონ იშუამდგომლოს სინოდთან, ქართული ენა საეპარქიო სასწავლებელში ოფიციალურადაც სავალდებულო გახადოს.

**პირისუფალი.**

## ქართული ენის პროგრამა და საყმაწვილო ბიბლიოთეკები

ახალი ამბავი არ არის, რომ ქართული ენის სწავლების საქმე ჩვენში ჯერ-ჯერობით მეტად ცუდ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით მთავრობისა და უფლებიან კერძო სასწავლებლებში. ამ საგანს დათმობილი აქვს თითოეულ კლასში კვირაში ორჯერ მეხუთე და მეექვსე 40 წუთიანი გაკვეთილები, როდესაც მოსწავლეები ფიზიკურად დაქანცულნი არიან და სახლში გაქცევას ეჩქარებიან. რა უნდა გააკეთოს და მოასწროს მასწავლებელმა კვირაში ერთ საათსა და 20 წუთს?! ქართველ მწერლებსა და მათ ნაწარმოებს გააცნოს, პრაქტიკულად გრამატიკაში ავარჯიშოს, აწერიოს თუ სამშობლოს გეოგრაფია და მოკლე ისტორია შეასწავლოს?! ორმოც წუთის განმავლობაში გაკვეთილი ახსნას მოსწავლეებს თუ ჰკითხოს?!, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ქართული ენა მთავრობის გიმნაზიებში, რეალურსა, კერძო უფლებიანსა და უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლებში არა სავალდებულო საგნად ითვლება, ამიტომ სპეციალურად შემუშავებული საერთო პროგრამაც ჯერ არ არსებობს და ყოველი მასწავლებელი ისე ასწავლის ამ საგანს, როგორც მას მოეხასიათება. მოსწავლეებიც, როდესაც ხედვენ, რომ საგანი არასავალდებულოა, არც მიღებისა, არც გადაყვანის დროს კლასიდან კლასში არ იხსენება და მათ ხელს არ უშლის, მაშინ ისინიც ამ საგნის შესწავლას გულგრილად ეკიდებიან და გაკვეთილებსაც არ ამზადებენ, გარდა ოთხი-ხუთი მოსწავლისა, რომელთაც ასე თუ ისე შეუგნიათ სამშობლო ენის მნიშვნელობა. დღეს თუმცა მასწავლებლები ხელმძღვანელობენ კუდმოგლეჯილი პროგრამებით, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზებისა გამო ასეთი მცირე პროგრამასაც ვერ ითვისებენ მოსწავლეები. გამოცდილ და მეცნიერ პედაგოგთა აზრით, ბავშვის გონება თავისუფლად მაშინ განვითარდება, როდესაც ის სამშობლო ენას კარგად შეისწავლის, მაშინ დედა-ენის საშუალებით უცხო საგნებსაც უფრო კარგად ითვისებს. ამის გამო მეტად საჭიროა, დღევანდელ გაკვეთილების რიცხვის მიხედვით, შემუშავდეს საერთო დროებითი პროგრამა, როგორც პირველდაწყებითის, ისე საშუალო სასწავლებელთათვის, რათა ყველგან ერთნაირი პროგრამით ისწავლებოდეს ეს საგანი. მაგალითად, დღეს რეალური, უმაღლეს პირველ დაწყებითის სასწავლებლების და გიმნაზიების პირველ სამ კლასში „ბუნების კარსა“ და „გუთანს“ აკითხებენ მასწავლებლები, მეოთხე კლასიდან იწყებენ ქართველი მწერლების შესწავლას; ისტორიას და სამშობლოს აღწერას ზოგან სულ არ ასწავლიან და ზოგან ქართული ენის გაკვეთილთან ერთად გადიან ზერელეთ; „ბუნების კარი“, თუ „გუთანი“, აგრეთვე გრამატიკის პირველ დაწყებითი კურსი და სამშობლოს აღწერა უსათუოდ გავლილი უნდა იქნას დაბალ პირველდაწყებით ოთხ-ხუთ განყოფილებიან სასწავლებლებში, რათა შემდეგ საშუალო სასწავლებლის მეორე კლასიდანვე იწყებოდეს ქართველ მწერალთა ნაწარმოების შესწავლა და გარჩევა, აგრეთვე საქართველოს მოკლე ისტორიის კურსიც. სასწავლებელში მიღების დროს ქართულ ენაშიაც უნდა გამოიცადოს მოსწავლე და უნდა ეკითხოს დაბალი პირველ დაწყებითი სასწავლებლების კურსი, რათა ყველამ იცოდეს ერთნაირი პროგრამა, თორემ დღეს თითოეულ კლასში ქართული ენის სწავლების დროს მასწავლებელს ორ-სამ ჯგუფთან აქვს საქმე და აღარაფერი კეთდება; ზოგს ცალ ხაზზე წინადადების დაწერა არ შეუძლია და ვინც კერძო პირთან მომზადდებოდა, მას ქართული წერა-კითხვა სრულებით არ უსწავლია. ასეთი დროებითის საერთო პროგრამებით უნდა იხელმძღვანელოს ყველამ, სანამ ქართული ენა სავალდებულო საგნად არ იქნება შემოღებული და გაკვეთილების რიცხვიც არ გამრავლდება, შემდეგ კი უნდა შემუშავდეს სამუდამო სრული პროგრამა. აღნიშნულ მიზეზთა გამო, როგორც დღეს, აგრეთვე შემდეგშიაც, ქართული ენის შესწავლისათვის მარტო სახელმძღვანელოები და სკოლა არ კმარა.

აუცილებლად საჭიროა სასწავლებლებში ყველგან იქნეს ქართული ბიბლიოთეკაც ყმაწვილთა წლოვანობის მიხედვით. დღეს მთავრობის სასწავლებლებში ყველგან არსებობს, როგორც მასწავლებელთათვის, ისე მოსწავლეთათვისაც რუსული ბიბლიოთეკები, ქართული კი, სამწუხაროდ, არ მოიპოვება; ქართულ ენის მასწავლებლებს არა აქვთ უფლება ქართული წიგნები გამოიწერონ მოსწავლეთათვის სასწავლებელში, რადგანაც სამოსწავლო მთავრობის მიერ ნებადართული ქართული წიგნების სია არა გვაქვს და არც ვისმე უფიქრნია ჯერ ამის შესახებ შუამდგომლობა აღეძრა სამოსწავლო ოლქის უფროსის წინაშე. მოსწავლეებს სახელმძღვანელო წიგნებზე მეტად ეინტერესებათ გარეშე წიგნების წაკითხვა, ამიტომ ასეთი საშუალებით უფრო შეუყვარდებათ მათ სამშობლო ენა. ეხლა ვიკითხოთ, ვინ უნდა იკისროს საერთო პროგრამის შედგენა და მასალების გამორჩევა, ან ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა? ისევ ქართულ ენის მასწავლებლებმა უნდა მოაწესრიგონ ეს საქმე კოლექტიურად; შესაძლებელია დაიხმარონ დაბალ სკოლებში პროგრამის გასატარებლად მასწავლებელთა საზოგადოება და ქართულ საყმაწვილო წიგნების შესახებ ნებართვის შუამდგომლობისათვის კი წერა კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობა. ამასთანავე აუცილებლად გადათვალიერებულ უნდა იქნეს ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნებიც. ამ საყურადღებო საკითხს დაყოვნება აღარ ეჭირვება; ეს უნდა მოხდეს, როგორც ქუთაისში, ისე თბილისში ამ სამოსწავლო წლის ბოლომდის და შემდეგ დაიბეჭდოს პერიოდიულ გამოცემებში. სასურველია ქართული ენის მასწავლებლებმა ამ საკითხის შესახებ გამოსთქვან თავიანთი აზრი.

**ლადო ბზვანელი.**

## საქართველოს სამღვდელოება უწინ და ეხლა

(წერილი მეორე)

წარსული საუკუნის დამდეგს რომ კაცთა შორის გაბატონებულმა მანქანებამ ქართველი ერის პოლიტიკური თვითარსებობა შეაყენა, იმ სავალალო დროს ქართველი სამღვდელოება ისევ ძლიერი იყო, კვლავ შეეძლო სიცოცხლე, მაგრამ აქაც იმავე მანქანებამ სძლო და დაამხო.

1801 წ. მცხეთაში იჯდა კათალიკოზ-პატრიარქი ანტონი მეორე, ერეკლე მეფის ძე, იმ დროშივე განაგებდნენ თავის ეპარქიებსა მღვდელმთავარნი:

იუსტინე მთავარეპისკოპოსი მცხეთისა,
არსენი მიტროპოლიტი თბილისისა,
ათანასი ეპისკოპოსი ნიქოზისა,
მროველ-სამთავნელ-წილკნელი ღერვასი,
იოანე მიტროპოლიტი ბოდბელი-ალავერდელი,
სტეფანე მთავარეპისკოპოსი რუსთავისა,
მიხაილ მიტროპოლიტი ნინოწმიდისა
ამბროსი მიტროპოლიტი ნეკრესისა და სხ.

იგინი კმაყოფილებით ცხოვრებდნენ თავ-თავის შემოსავლითა და დახმარება არავისი ესაჭიროებოდათ.

1803 წ. მოვიდა თუ არა მთავარმართებელი პავლე ციციშვილი, ჩაერია საეკლესიო გამგეობის საქმეებში, აუჯანყა საეკლესიო გლეხნი, დახურა სამღვდელთმთავრო ეპარქიები, კათალიკოზ-პატრიარქს ანტონს სიცოცხლე ჩაუმწარა და ყოველმხრივ შეავიწროვა, ჩამოართვა საეკლესიო ყმანი და სახაზინოთ გარდასცა. რუსის ჯარის უფროსებმა მიითვისეს საეკლესიო სათიბები, ტყეები და სხ. შემოსავალი. „ისპრავნიკები“ სცარცვავდნენ ხალხსა და ხმის ამომღები აღარავინ იყო. იქამდე მივიდა საქმე, რომ სამეფო ოჯახის შვილები გადაასახლეს რუსეთში, და საქმე-გაჭირვებული ხალხი აჯანყდა და დრტვინავდა, მაგრამ რას გააწყობდა. ბოლოს, კათალიკოზი პატრიარქი ანტონი გადაიყვანეს რუსეთში 1810 წ. ნოემბერში და ტანჯული სული ტყვეობაში დალია ნიჟეგოროდში 1827 წ. მის მოადგილედ მოსაჩვენებლად ახტალის ეპისკოპოსი ვარლამი დანიშნეს, მაგრამ ხეირი არც ამას დაეყარა: საეკლესიო შემოსავალსა და მამულებს რუსის ჩინოვნიკებმა თანდათან ხელი წაატანეს. ს. ჯიმითითგან ოთხი ურმით მოჰქონდათ ვარლამის კაცებს საეკლესიო პური. საგარეჯოს ბოლოზედ დახვდნენ პორტნიაგინის ჯარისკაცები და ერთიანათ წაართვეს: პური დაფქვეს თავისთვის, ხარკამეჩები დახოცეს და შეჭამეს, ურმები დაწვეს, ხოლო კაცებს ბევრიცა სცემეს და თავპირდამტვრეული ვარლამისაკენ გამორეკეს თბილისში.

საეკლესიო მამულები და წისქვილები ჩამოართვეს და აღარ დაანებეს. 1817 წ. ვარლამიც დაითხოვეს და რიაზანის მთავარ ეპისკოპოზი თეოფილაკტე რუსანოვი დანიშნეს.

წარსულ საუკუნოებშიაც ბევრჯელ უნახავს საქართველოს სამღვდელოებას ესრეთი უბედურება. შევადაროთ:

1) მე-XIII საუკუნის მეორე ნახევარში მცხეთის კათოლიკოზ-პატრიარქის ნიკოლოზ IV ძაგანის ძის დროს მონგოლების მოხელეებმა აწერეს საქართველოს სოფლები, მამულ-დედული და საეკლესიონიც თან მიაყოლეს. ადგა კათოლიკოზ-პატრიარქი ნიკოლოზი და სამარყანდში გასწია ყეენთან. იქ დიდის უებრო პატივი სცეს, სათხოვარი შეუსრულეს, „ოქრო-ვარაყიანი“ იერლაყითა დაუმტკიცეს ეკლესიებს ყველა მამულის ხელშეუხებლობა, თვით კათოლიკოზს ყეენმა მიართვა „ოქროს გვირგვინი და კვერთხი ძვირფასის ქვებითა მკულნი“ და სხ. ძღვენნი და გამოისტუმრა თავის ადგილზედ.

2) მე-XVII საუკუნის დამდეგს კათალიკოზ-პატრიარქი იოანე ავალიშვილი განივლტო გურიისაკენ საგანძურითა, და მცხეთაში ჯარით მოსული შაჰაბაზ სვეტისცხოვლის ტაძარში წინდების ამარა შევიდა, დაუმტკიცა ეკლესიას ყველა მამულები ხელშეუხებლობითა ფირმანითა და წარვიდა.

3) მე-XVIII საუკუნის დამდეგს ძლიერის სპარსეთის მოხელეებმა შეაწუხეს კათოლიკოზ-პატრიარქი დომენტი, საეკლესიო მამულების შემოსავალს იტაცებდნენ. დომენტი ჩავიდა თეირან-ისპაანში და ყეენთან იჩივლა. ყეენმა შეისმინა სათხოვარი, დაუმტკიცა ხელშეუვალათ ყოველნი მამულნი და დიდის პატივითა და ძღვნითა გამოისტუმრა.

ჩვიდმეტის წლის შემდეგ ოსმალნი დაეპატრონენ ქართლსა და მათმა მოხელეებმა იწყეს საეკლესიო მამულების შემოსავალთა მოტაცება, ამიტომ დომენტი ახლა სტამბოლში წარვიდა და შესჩივლა სულთანსა. სულთანმა პატივითა მიიღო, მაგრამ ამ დროს მოუვიდა ამბავი— დომენტის ძმა მეფე ვახტანგ მეექვსე რუსეთში გადასახლდა თავის ყმითაო. ამის გამო სულთანმა დაატყვევა დომენტი და თენედოსის ჰალაკ-კუნძულზედ წარგზავნა, ხოლო კათალიკოზათ დაადგინა მცხეთაში არჩეული ბესარიონ ორბელიანი.

ცამეტი წლის შემდეგ დომენტი მშვიდობით გამოისტუმრეს. საქართველოში მოსრულმა ოთხი წელიწადი კიდევ განაგო საეკლესიო საქმენი და უფლისა მიმართ მიიცვალა 1742 წ.

ამნაირათ ციციშვილმა და ბევრმა რუსის მოხელეებმა გადააჭარბეს წარსულთა მტარვალთა. დახურულ ეპარქიებიდან ჩამოიტანეს სამღვდელთმთავრო სალაროები*) თბილისში და ჩაიბარეს. მრავალი ნივთები შემდეგში „ტორგით“ დაიყიდა. მაგ. ანჩისხატის ტაძრის აუარებელი ნივთეულობა ორგზივი დაიყიდა „ტორგით“ და ყველა თავისებურათ ითბობდა ხელსა. მონასტრებ თგან ჩამოიტანეს ბევრი რამ და ჩაიბარეს. უკანასკნელი რუსთველი სტეფანე, ენისელთ მოურავის ძე, გარდაიცვალა 19 ნოემბერს 1839 წელს. მისის დანარჩომის ქონებითგან ვერცხლის მშვენიერი ჯვარსასანთლები დღესაც ვლადიკავკავის მღვდელთმთავრის ხელშია. ერთი სრული ხელი შესამოსი სუხუმის მღვდელთმთავრის ხელშია. მიტრა (გვირგვინი) აუტანიათ მამა ანტონის მონასტერში ნათხოვრათ და დღესაც დაკარგულია. დანარჩენი „ტორგით“ დაიყიდა 1853 წელში. სემინარიაში და სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენა, გალობა და კითხვა გამოდევნილი იყო 1864 წლამდე და მათი სწავლების ხსენება არსად იყო. ამ წელს გრიგორ ორბელიანმა, იაკინთე ალექსიევ-მესხიევმა, პლატონ იოსელიანმა და დიმიტრი ყიფიანმა ეგზარხოსს ევსევის თავს შეადებინეს და თბილისის სემინარიაში წმ. ნინოთგან გადმოაყვანინეს საეკლესიო კითხვა-გალობის მასწავლებლათ მღ. გრიგოლ კარბელაშვილი, რომელიც 1872 წლის 1 სექტემბრამდე ასწავლიდა და ამ დროთგან დაითხოვეს. მისი ნაყოფიერი შრომა და ამაგი კარგათ ახსოვთ მაშინდელ სემინარიაში მოწაფეებსა. ქართული წირვა-ლოცვა გაჩაღებული იყო იმ დროს სემინარიის ეკლესიაში: მოწაფეები თვით კითხულობდნენ და გალობდნენ ორ გუნდათ; დიდმარხვაში ოთხშაბათ-პარასკევს ქართულათ იყო ხოლმე წირვა-ლოცვა კითხვით და გალობით. მაშინ მზადდებოდნენ მწყემსნი საქართველოს ეკლესიისა, რადგან პრაქტიკულად სწავლობდნენ ეკლესიაში საღმრთო მსახურების შესრულებასა. რათ მოიშალა ეს საქმე? რატომ არ უნდა განახლდეს იგი დღეს? დღევანდელი სამღვდელოთა კრება ფრიად კარგს იზამს, თუ თავსშეიდებს და აღადგენს ამ საქმესა...

ნუღარ ვიტყვით, რომ ცარიელმა უსულო ფორმალიზმმა და ბიუროკრატიზმმა გული გაგვიწყალა და სული შეგვიხუთა. თუ ასი წლის წინათ ორი ქართული სტამბა მუშაობდა თბილისში და მესამე ქუთაისში და დღეს ვის რათ ეჩხირება თვალში ეკლათა ქართული სტამბის გამართვა თბილისში? 1868 წელში საქართველოს საეკლესიო მამულები საზ[illegible] ვიდა ხაზინის ხელში, [illegible] დაფასებულნი თვითონ მთავრობის მიერ. მის შემდეგ აქა-იქა გადარჩა თითო-ოროლა ნაჭერი საეკლესიო მამულებისა და სამღვდელონი ხმარობდნენ ძველებურათ. მაგ. მარტყოფის ღვთაების ტაძრის კრებულის ხელში იყო, ყ. დ. სამღვდელო სტეფანე რუსთველის შემდეგ: „ფარცხისი“, „ძელახო“. ამისთანა მამულები დაიჩემეს ხაზინის აგენტებმა და „ტორგით“ აძლევენ საიჯაროთ, ვისთვისაც უნდათ.

მეფის ნაცვალის კანცელარიაში დღეს საქმეა წარმოებაში, რათა თვითოეულ საეკლესიო კრებულს მიეცეს $33^{1}/_{2}$ დესიატინა მამული საცხოვრებლათ, როგორც რუსეთშია. ეს საქმე რომ შესრულდეს, სამღვდელოების ხელში გადმოეცემა $21473^{1}/_{2}$ დესიატინა მამული. ამის წინაამდეგია დღევანდელი სახელმწიფო მამულების გამგებელი №. დღევანდელი სამღვდელოთა კრება მოვალეა ამ საქმეზედაც ამოიღოს ხმა და თავისი მოითხოვოს. ჩვენდა სავალალოთ-სამწუხაროთ ჩვენნი მღვდელთმთავარნი ძალიან ხშირათ მწირველნი ბრძანდებიან ან ქალაქ-სოფლად და რიგიან მგალობელთა გუნდი კი არსად გაგვაჩნია. აქაც სამღვდელოება მოვალეა აღიმაღლოს ხმა და მოითხოვოს, რა წესითაც ეგზარხოსის მგალობელთა გუნდი ინახება თბილისში, მსგავსათვე დაწესდეს ქართული მგალობელთა გუნდი.

მთელ რუსეთის იმპერიაში ხაზინა ინახავს თავის ხარჯით სემინარიებსა, სასულიერო სასწავლებლებსა და მღვდელთმთავართა თავის მდივანხანითა და მოხელეებითა. ჩვენს დალოცვილ საქართველოში კი საქართველოს საეკლესიო ხაზინისა სემინარიაზე 35000 მან. იხარჯება, სასულიერო სასწავლებლებზე ორი ათას თუმნამდე, ეგზარხოსის სახლზე კანცელარიით თხუთმეტი ათას თუმნამდე (15000). და სინოდის კანტორაც ესრევე ინახება. დღევანდელი კრება აქაც მოვალეა ამოიღოს ხმა, ეს ხარჯები სახელმწიფო ხაზინაზედ გადავიდეს და განთავისუფლებული ფული მოვახმაროთ ზემორე აღნიშნულ საქმეებსა. ამისი საწინააღმდეგო რამ სათქმელი ვის რა აქვს?

ამასთანავე ფრიად მადლს დასთესავს დღევანდელი სამღვდელოთა კრება, უკეთუ მოითხოვს და მოახერხებს ქართული სტამბის გამართვასა. რამდენი სამღვდელოთა შვილი რჩება უსწავლელი, სემინარიითგან და სასულიერო სასწავლებლებითგან დათხოვნილნი? აი ამისთანა უბედურთათვის აღმოჩნდება სახსარი ცხოვრებისა, და შეეთვისებიან პატიოსანის გარჯითა და შრომით ცხოვრებასა და მრავალნი გადარჩებიან სათაკილო და სამარცხვინო გზით თავის სიცოცხლის განტარებასა...

ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მაგრამ სადღეისოთ ეს ვიკმაროთ.

**მღ. პ. კარბელაშვილი.**

---

*) ამა სალაროთა ნივთების სიებსა მალე დავბეჭდავთ.

## წერილები ქუთაისიდან

ჩვენი ეკლესიის უფლებათა აღდგენა მთელ ქართველ ერის საზრუნავი საგანია. სამართლიანია გულისწყრომა იმ ჩვენის მღვდელმთავრებისა, რომელნიც ქართველ ერისთაგანთ ამ საქმეში ერთგვარ გულგრილობას უსაყვედურებენ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია შეეხება არა მარტო ქართველ სამღვდელოებას, არამედ მთელს ქართველ ერს, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა. სწორეთ, რომ სჭირია ერს თავის ეკლესიის სიწმინდე, ზნეობრივი აღდგენა, განახლება, გასპეტაკება და ბევრი რამ „მორთულისაგან“ განწმენდა. ასეთი აღდგენის და განსპეტაკების უაღრესი გამომხატველი ეროვნული ეკლესიაა. ეს ეკლესია შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა. მათი საოცარი მხურვალება მშობლიურ ეკლესიის ასაყვავებლად დღესაც უკვდავ ძეგლებად გვიდგას თვალწინ. ეს მხურვალება იყო მათში დაუშრეტელი ენერგიის წყარო, რის შედეგიცაა საუცხოვოდ ნაგები ეკლესია-მონასტრები, რომლითაც ასე უხვადაა შემკობილი საქართველოს არე-მარე და მისი ქედ-მაღალნი; მათი მორთულ-კაზმულობა, საარაკო გულდადებით შექმნილი ფასდაუდებელი ხელნაწერები, ოქრომჭედლობა, ტკბილხმოვანი გალობა, უმაღლესად განვითარებული ქართული ენა და სხვ. ყოველივე ეს ჩვენმა წინაპრებმა მეცხრამეტე საუკუნის კარებამდი წვითა და დაგვით მოიტანეს და საშვილიშვილოდ გვიანდერძეს.

მერე ჩვენ როგორ მოვეპყრით ამ უძვირფასეს განძს? მართალია, გენერ. ტორმასოვმა ერთის ხელის მოსმით გააუქმა ანუ, უფრო სწორედ რომ

ვთქვათ, ჩვენი ეკლესიის წინსვლა და ბუნებრივი განვითარება შეაჩერა, მაგრამ ახლა ხომ უმაღლესად ნებადართულია ამ საგანზე მსჯელობა, წერა და მისი ყოველ მხრივი ნათელყოფა? ახლა ხომ მაინც შეგვიძლია ვუმტკიცოთ ქვეყანას, თუ რა ბედი ეწია ივერიის უხუცეს საქრისტიანო ეკლესიას, რომელიც რღვევისა და ნგრევის საბედისწერო გზაზეა დამდგარი.. და ინგრევა და იმხობა არა მარტო ის უსულო საგნები, რომელნიც ჩვენი წარსული სიდიადის მაჩვენებლად დღეს ქვეყანას დარჩენია, არამედ იმხობა თვით ერის სინიდისი, სარწმუნოებრივი სინიდისი, ზნეობა და აღარა არის რა ისეთი, რაცა ძველ ქართველებს ზეკაცურად ამოქმედებდა. თავი და თავი კიდევ ისაა, რომ თვით ჩვენ მოწმენი ვართ ამ რღვევისა და ჩვენი ასეთი მდგომარეობაც ფრიად პასუხსაგებია მომავალი საქართველოს წინაშე, როდესაც, რაც უნდა ამტკიცონ და იმჭევრმეტყველონ, ეკლესიასაცა და სარწმუნოებაც საჭირო იქნება.— მაგრამ თუ ჩვენ, ერისთაგანი, დამსახურებული საყვედურით მოგვმართავს ზოგიერთი მღვდელმთავარი, ნება გვიბოძონ, რომ ჩვენც ასეთივე სამდურავით მივმართოთ ზოგიერთ მათგანს, რომელნიც თავიანთ მოვალეობის სიდიადეს ნაკლებად განიცდიან! ქართველი მღვდელმთავრის და სასულიერო პირის მოვალეობა გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე, მაგალითად, რუსის, ბერძნის და სხვ. ამიტომ, არ შეგვიძლია არ მივმართოთ მათ: „გვგვიძეხით, მამანო და მწყემსთ მთავარნო! გაგვიძეხით და გამოგვყვებით!“

აბა ვნახოთ, რას გვეტყვის იმერეთის სამღვდელოების კრება 16 ამ თვეს? ის უეჭველად ჩვეულებრივ მოითხოვს მშობლიური ეკლესიის უფლებათა აღდგენას, მაგრამ ეს ხმა მისწვდება კი სადაც ჯერ არს?!

მიაწოდეთ, მიაწოდეთ, მამანო, მოითხოვეთ და მოიპოვეთ!..

* * *

თორემ, ღმერთმანი, ფრიად ცუდ ნიშნებსა ვხედავთ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ გადაგვარებისას! მეტად დამაფიქრებელს, ამაშფოთებელსა და სამწუხაროს!.. მამა მელიტონ ცაგარეიშვილს ქუთაისში ყველა იცნობდა, როგორც ფრიად წყნარს, კეთილს და ჩუმ მუშაკს. თვალში არავის ეჩხირებოდა, მაგრამ მისი ნამოღვაწევი ნაყოფიერობით ბევრი მყვირალა მოღვაწისას არ ჩამოუვარდებოდა. იყო თავისთვის და მასწავლებლის მძიმე ჰაპანს ეწეოდა ჯერ სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი—საქალებო გიმნაზიაში. ქუთაისში მისი მომდურავი არავინ გვინახავს, მადლიერი კი—ბევრი; სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. და, აი, ასეთი ადამიანი, 4 ამ თვეს საცოდავად და ვერაგულად მოჰკლეს პატარა-ჯიხაიშში. ამ ამბავმა მთელს ქალაქში საშინელი აშფოთება გამოიწვია. და მართლაც, რასა ვშვრებით? საით მივდივართ? რა გზით მივემართებით? ქაღარა-მოსილ დეკანოზს სადღაც ჯიხაიშის ველზე კეტით თავი გაუპეს და ჯვარი, ზედ რომ ეკიდა, მისსავე სისხლში ამოსვარეს... ამაზე მეტი დაცემა ზნეობისა და სარწმუნოებისა კიდევა შეიძლება?!

* * *

როგორც არ შეიძლება მამულზე იმის უტყუარი საბუთის წარმოდგენა რომელიც არსებობდა გელათის ქუჩაზე, კიბულასკენ, რიონის მარცხენა ნაპირზე, და რომელი საბუთიც მისი ადგილიანათ აგერ რამდენიმე წელიწადია ბ-ნ ელიგულაშვილის ეზოში მოჰყვა!.. ქუთაისიდან ოკრიბისკენ მიმავალ შარა-გზას მწვანე-ყვავილაში ერთი კლდოვანი კონცხი გადმოჰყურებს, რომელზედაც დღემდი ჩინებულად შენახულა ერთი კარგა მოზრდილი და ერთიც მომცრო კოშკი; მესამე ასეთივე კოშკი, თუ ეკლესია, რიონის პირად, დაბლობში, იყო აგებული. აი ამ უკანასკნელს კერძო პირი, ბ-ნი ელიგულაშვილი დაეპატრონა, ნაშთის კედლები დააქცია და მთელი ის არემარე დაისაკუთრა. ამბობენ, სასამართლოში მოწმეებითა და უფლებით მოიგოვო. ალბად, ეს ასე იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ვიკითხოთ, რომელი მოწმე ან საბუთი სჯობდა უკვდავ ნაშთს, რომლის ბალავერი დღესაც კიდევ სჩანს? რამდენჯერ გამივლია ამ გზით და ჩვენს უძლურ ქვეყანაზე მწარედ დავფიქრებულვარ!..

* * *

დამაფიქრებელი და დამამძიმებელი ოღონდაც რომ ბევრი რამა გვაქვს! მაგ., კარზე მომდგარი საშინელება, რომელსაც შიმშილობა ეწოდება. მეკრძალება ამ სიტყვის თქმისა, მაგრამ აბა რა ვუწოდო იმ მდგომარეობას, როცა იმერული თხელი მჭადი თითო აბაზად იყიდება და ფუთი სიმინდის ფქვილი კი 4—5 მანეთამდი ფასობს!.. სოფელი კი დაცალიერდა; ქვეყნის მარჩენალი მუშა ხელი ან ბრძოლის ველზეა გაწვეული, ან კიდევ სადღაც აზრუმისა თუ ტრაპიზონის მიდამოებშია გადახვეწილი ფულის საშოვრად! გლეხმა ოჯახი და კერა მიატოვა, ცოლშვილი ღვთის ანაბარად დააგდო და, ფულის სუნით დამთვრალი, საითკენღაც გარბის! ოჯახიც უცალიერდებათ, ელუპებათ და იქიდანაც ხშირად ცარიელ-ტარიელები ბრუნდებიან! გულშემატკივარი ხელმძღვანელი და გზისმაჩვენებელი ხალხს არა ჰყავს და ორიოდე, შემთხვევით გამდიდრებულ, ბედისმაძიებელთა მიბაძვით, ვინ იცის, სად არ ეჩხებიან!..

* * *

ბ-ნი ალ. გარსევანიშვილი კი ოღონდაც რომ გულშემატკივარი და მხნე ხელმძღვანელია ჩვენის სახალხო უნივერსიტეტისა. ის დაუღალავი მუშაკია და მისი სადა, მარტივის და გასაგების ენით წარმოთქმული ლექციები ყოველთვის დიდძალ მსმენელს იზიდავს. 4 ამ თვეს ბ-ნმა გარსევანიშვილმა წაიკითხა: „საქართველოს ერთობის მღაღადებელი სოლომონ ლეონიძე და მისი მოღვაწეობა ქართლსა და იმერეთში“. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და დემოკრატიამ, რომელსაც ერთ დროს საქართველოს სახელს ვერ უხსენებდით, საყვარელი ლექტორი სამადლობელი ტაშისცემით დააჯილდოვა.

კარგს ინებებს ბ. გარსევანიშვილი ან სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა, რომ მსგავსი შინაარსის ლექციებს წიგნაკებად დაბეჭდავდეს და სახალხოდ გამოსცემდეს.

* * *

არა ნაკლებ კარგს ინებებს ქუთაისის ახალგაზრდობა—რაიმე უფრო მაღალ იდეალს დაისახავდეს, ვიდრე პრაპორჩიკის ტემლაკებია, ან ჩილინგარაშვილის საკანდიტროს წინ დგომა! ხომ ხედავენ დალოცვილები, რომ პირველი დიდებაც მსწრაფლ წარმავალია და საკანდიტეროშიც, სურსათის უქონლობისა გამო, აღარაფერი ჰყრია!.. მაშ რაღას შეჰყურებენ იქა! წინათ აქ დგომას კიდევ რაიმე „აზრი“ ჰქონდა, მაგრამ ახლა კი აღარ მესმის სწორეთ!.. ნუ-თუ გადამჭავებულ-გამოფიტული „რაქკების“ ყურება ესოდენ სანატრელია, რომ შუაღამემდი იქ უყურუტობენ! ნუ თუ ტკბილეულის მოყვარული პეპლები და ყვავილთა მოტრფიალე კრაზანები ვეღარ ატყობენ, რომ მათს მშობლებს მათი სიტკბოს მოყვარულობა მძიმე და მწარე ტვირთად აწვება?!.

დ.

## ქართველი მუსლიმანები

(წინდი სიყვარულისა, მძევალი ნდობისა)

საბედნიეროდ და ჩვენდა სასახელოთ, ჩვენც ვიღვიძებთ—ოცნებას, ყვირილს თავს ვანებებთ და ნამდვილ რეალ ცხოვრებას ვიწყებთ; თუმც გვიან, მაგრამ ჩვენც ვრწმუნდებით, რომ გამარჯვებული მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკებია, და აი ჩვენც ვიწყებთ პრაქტიკულ ცხოვრებას. ამის სანიმუშოდ, სხვათა შორის, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ქართველ მუსლიმანთა დახმარებისა და დამეგობრების საქმე.

ამ უკანასკნელ ორ წელიწადს ამ საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა—აჭარლებიცა და ჩვენც ღრმად დავრწმუნდით, რომ ძმები ვართ სხვა და სხვა რჯულისანი, მაგრამ ერთი მეორის მოყვარული; ძმები ვართ და ერთს უმეორისოდ ცხოვრება არ შეუძლია. რაც ჩვენ ამ საშვილიშვილო საქმისათვის ამ მცირე ხანში გავაკეთეთ, იმისი მეათედი რომ ყოველ წლივ გვეკეთებინა ამ 40 წლის განმავლობაში (მას შემდეგ, რაც აჭარა-ქობულეთი საზღვრით შემოგვიერთდა), აჭარა-ქობულეთი კი არა ჭანეთ-ჯავახეთიც ჩვენი იქნებოდა,—ერთი იქნებოდა პირი და ლხინი.

ყველაზე მეტად ქართველ მუსულმანთა ჩვენთა დაახლოებას ხელს ის უშლიდა, რომ ჩვენცა და ისინიც შებორკილნი ვიყავით სარწმუნოებრივი ფანატიზმით: ქართველ ქრისტიანებს ქართველობა ქრისტიანებათ მიაჩნდათ; ჩვენ არც ერთს მუსლიმანს ქართველად არ ვცნობდით და ყველას „თათარს“ ვუწოდებდით. ოჯახში შეშვება თათრისა კი ცოდვად მიგვაჩნდა, თუ სტუმრად შევუშვებდით, მის ნახმარ ჯამს ვმდურავდით, გვეშინოდა თათრის ნახმარ ჯამს არ გავეთათრებინეთ. საბედნიეროდ, დღეს ასე ვიწროდ არც ჩვენ და არც ისინი აღარ ვმსჯელობთ, შევიგენით, რომ ყველა რჯულს გზა სამოთხისაკენ („ჯენეთისაკენ“) აქვს და რჯულის სხვა და სხვაობა ხელს არ გვიშლის ძველი ძმები ისევ ძმებად დავრჩეთ და ერთმა მეორის კეთილდღეობისათვის ეცადოს და იზრუნოს. დღევანდელი კეთილდღეობა და ბედნიერი ცხოვრება სწავლაზე და შეგნებაზეა დამყარებული. უსწავლელი კაცი რომ უენო, პირუტყვია („ჰაივანია“), ეს ქართველ მუსლიმანებს შინაურმა და გარეშე მტრებმა ცეცხლით და მახვილით დაუმტკიცეს... თუ წინად აჭარელი სკოლაში შვილს არ აძლევდა, ამ ომის საშინელების შემდეგ ყველა ცდილობს შვილს ასწავლოს. წინად თუ გაგვირბოდნენ, დღეს ჩვენთან მოდიან, მოდიან, როგორც ძმები და მეგობრები. გვენდობიან და ნდობის მძევლად, სიყვარულის წინდად (საწინდარი—გირაო) შვილებს გვაძლევენ და გვეუბნებიან: „გენდობით, ჰოვ! წაიყვანე ჩემი პაყვი (პატარა), ასწავლეთ, აღზარდეთ თქვენს ჭკუაზე, ნასწავლი დაგვიბრუნეთ ისე, რომ მერე ამ თქვენმა გაზრდილებმა შესძლონ სხვების თვალის ახილვა. გვცარცვენ, გვღეჯენ, გვატყუებენ: წონასა, მაზანდასა, ფულში; უცხოელები, შემოხიზნულები მდიდრდებიან ჩვენი სიმდიდრით და მერე ჩვენვე გვმტრობენ. ნასწავლები, რომ ვიყოთ, ამას მაშინ ვერ გაგვიბედავენ. აღარ გვარგია ასე ცხოვრება; ჩვენი ცოდვა ეყოფა ჩვენს „ბაბას“ და ჩვენც არ გვინდა შვილების ცოდვა მოგვეკითხოს. მიიღეთ ჩვენი შვილები, ასწავლეთ და ნასწავლი მუსლიმანი დაგვიბრუნეთ“.

უსაზღვროა ეს ნდობა!.. შვილი ყველას ძლიერ უყვარს, მაგრამ აჭარელს შვილი კიდევ სხვანაირად უყვარს. ის ჯერ არ არის შერყვნილი, შვილი თვალიდან მოიშოროს. აჭარელი როცა შვილს აღსაზრდელად ქრისტიანებს გვაძლევს, ამით გვიმტკიცებს თავის „უზომო“ სიყვარულს, უღრმეს ნდობას. ამაზე მეტ პატივს ის ჩვენ ვერა გვცემს. ჩვენც გვმართებს შესაფერი უნარ-ტაქტის გამოჩენა, რომ სავსებით გავუმართლოთ მშობლებს ნდობა. ყოველისავე ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, აჭარელი ყმაწვილი შვილივით აღვზარდოთ და მტკიცე მუსლიმანად ისევ მის მშობლებს დავუბრუნოთ.

ჟმ. წ—ძე.

(დასასრული იქნება)

## წერილი ქართლიდან

ამ უმაგალითო მსოფლიო ომმა სოფელს ცხოვრების საძირკველი შეურყია: მოსწყვიტა ცოცხალი ძალები, შექმნა აუტანელი ისედაც გაძვალტყავებულ გლეხკაცობისთვის სიძვირე ყოველისავე. საარაკო ფასები დაედო ყოველისფერს, რაც ხელმოკლე სოფლის მცხოვრებთათვის ხელმიუწვდომელია. სად შეუძლიან გლეხს 20—25 მან. კოდ პურში მისცეს, 12—15 მან. სიმინდში, 50—155 მან. ღორში; ეს უკანასკნელი სოფლის გლეხისთვის აუცილებელ საშობაო-საახალწლო საკლავს შეადგენს, და გლეხი მთელი წლის განმავლობაში იზოგავს ღორის სახით, ქონი უწევს მას ერბოს მაგივრობას. მაგრამ ამ უკანასკნელ სიამოვნებასაც კი სოფლის ულარიბესი მცხოვრებნი მოკლებულნი უნდა იყვნენ, ვინაიდგან უპურობას უსაკლავოთ დარჩენას რჩეობენ. ვისაც ჰყავს ღორი, ჰყიდის კარგ ფასში, მაგრამ სამაგიეროდ ვეღარ შოულობს გასაყიდს ჰირნახულს. ტომარა აკიდებული გლეხი სოფლიდგან სოფელში დადის და ვერც პურსა შოულობს გასაყიდსა და ვერც სიმინდსა. ერთი კოდისათვის ქალაქს და გორს ვერ წასულა,—ვაი თუ იქაც ვერ ვიშოვო და ფულიც შემომეხარჯოსო, ფიქრობს მშიერის მუცლით პურის ძებნაში მოღლილი გლეხი.

აი ამ აუტანელ პირობებში უხდება გლეხს ცხოვრება იმ დროს, როცა წინანდებურათ, ნაცვლათ შეღავათისა, ყოველისფერ-სახელმწიფოს თუ სასოფლო გადასახადს თხოულობენ. ყველას ომისაგან გამოწვეულ სიძვირის გამო შეღავათი მიეცათ ჯამაგირების მომატებით მთავრობის და საზოგადო დაწესებულებებში, ქარხნებში და სხვაგან. მაგრამ გლეხისთვის კი, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს დიდა ბოძს, არავინ იწუხებს თავს, ვინაიდგან ის ყველასფერს შეჩვეულია და ყველასფერ გაჭირებას გაუძლებს! მაგრამ ყოველისფრის ნაკლულოვანება რომ აიტანოს, ხანგრძლივი შიმშილობის ატანა ყოვლად შეუძლებელია ცოცხალ ადამიანისათვის!

ვისი ვალია ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს? რა საკვირველია, საზოგადოთ, ქართლელების შეგნებულმა ნაწილმა და კერძოთ სოფელში კოოპერატიულ დაწესებულებამ, რომლების მიზანიცაა ფხიზელ დარაჯად უდგნენ საზოგადოებას და ააცილონ სოფელს ის მოსალოდნელი კატასტროფა, რომელიც მოელის სოფელს შიმშილობის სახით. სოფლის კოოპერატიულ დაწესებულებათა მესვეურნი დიდს სიფხიზლეს და ენერგიას უნდა იჩენდნენ ამ უმაგალითო ომის დროს, თორემ შარშანდელი მაგალითი განმეორდება გათკეცებულ ფორმით და მაშინ გვიანღა იქნება საქმის გამოკეთება. მარტო ფულის გასესხება-შემოტანით გამგეობის მოქმედების განზრახვა დიდს სარგებლობას ვერ მოუტანს დღევანდელ აუტანელ პირობებში საზოგადოებას.

ჩვენ არვიცით, ომი როდის გათავდება, ეს კი ვიცით, რომ ყველა საქმეს აქვს დასაწყისი და ბოლო. და ისიც კი ცხადია, რომ ჩვენ, ქართველობა, ომის გათავებასაც მოუმზადებელნი შევხვდებით. იქნება ზოგმა იფიქროს, ომის შემდეგ რაღათ უნდა ვიყვეთ მოუმზადებელნი, მაშინ ხომ მშვიდობიანობა დამყარდება ქვეყნიერობაზედო. მართალია, დამყარდება მშვიდობიანობა, მაგრამ ჩვენთვის კი არა: ამ ომით ბევრმა ისარგებლა, დიდი ფული იშოვეს იმათ, ვინც ცოტა უნარი და ფხა გამოიჩინა. ამ მხრივ, როგორც ყველაფერში, ჩვენი მეზობლები—სომხები უფრო მარჯვეთ მოიქცნენ, ვიდრე ქართველები.

რასაკვირველია, ომის შემდეგ ფულით წელგამაგრებულნი ვაჭრები იერიშს მოიტანენ ჩვენს ისედაც დაკლებულ სამშობლოზედ და დასწყებენ მამულების სყიდვას. მაშასადამე, ომის შემდეგ ჩვენს სამშობლოს დიდი განსაცდელი მოელის იმითაც, რომ ჩვენი მიწა-წყალი უცხო ტომის ხელში იწყებს გადასვლას და აი, სწორეთ, ეხლა მართებს ქართველობას დიდი სიფხიზლის და უნარის გამოჩენა.

ობოლი.

## მცირე შენიშვნები

1) ვ. შალიკაშვილის პროტესტი დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წინააღმდეგ სრულიად საფუძვლიანია, რადგან მართლაც შეუფერებელი სიტყვები და აზრები იყო გამოთქმული მსახიობთა შესახებ და ჩვენ, დამსწრეთ, გვიკვირს, რომ „სახალხო ფურცლის“ გუშინდელ ნომერში ბ-ნი ი. გედევანიშვილი უარჰყოფს თვის მიერ დაწერილ და წაკითხულ მოხსენების აზრებს (მსახიობთა მიმართ) მხოლოდ იმიტომ, რომ ვ. შალიკაშვილს სიტყვა-სიტყვით არა აქვს განმეორებული მოხსენების ფრაზები. არსებითად კი შალიკაშვილი მართალია და ვისთვისაა ეს, აწ ორმაგი, სირცხვილი, დეე თვით გედევანიშვილმა იგრძნოს.

2) ქ. შ. წ. კ. გ. ს. კრების ანგარიშში „სახალხო ფურცელს“ მოჰყავს გ. ლასხიშვილის სიტყვები: „დ. კარიჭაშვილის აზრი კერძო კი არა—საყოველთაო არისო“ და ეს სიტყვები რომ ჩემ საპასუხოდ იყო ნათქვამი—არსადა სჩანს, ამიტომ მკითხველს ეგონება, რომ გ. ლასხიშვილი ვიღაც არ არსებულს, მისი ფანტაზიით შექმნილს, მოწინააღმდეგეს უპასუხებსო და ეს არც ისეთი კარგი სამსახურია „მოპხრეებისადმი“. გარდა ამისა, დავიწყებულია ისიც, რომ ბ-ნმა კეკელიძემ ნათლად განაცხადა: დ. კარიჭაშვილის აზრი—მისი კერძო აზრია და არა გამგეობისაო. ანგარიშის და ოქმების გადმოცემაშიაც თუ გაზეთი მიდგომილობას იჩენს—სხვა რაღაში შეიძლება დაიმყაროს ადამიანი მის ობიექტივობას?

რ. გაბაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი
ხარიტ. შარვაშიძე

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **ხუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „**გონოზანით**“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება ნაცადია **ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გნებავთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, ცხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მელქოვის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . | 6 „ 24 „ | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი **სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია



ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

**ვურჩევთ** ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია—შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინი** (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— **მოლეციტინი** საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასთენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— **მოლეციტინი** მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— **მოლეციტინი** უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— **მოლეციტინი** მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— **მოლეციტინი** სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— **მოლეციტინი** ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს აგრედვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავსბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— **მოლეციტინი** ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— **მოლეციტინი** მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— **მოლეციტინი** ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— **მოლეციტინი** ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

**თითო კოლოფის ფასი 3 მან.** სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეს მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტთან.** Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 საპ. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშონჩნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კილანაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.